# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 15 მაისი 2008 №109 (3333) ფასი 50 თეთრი


# საზენიტო დანადგარებმა რეინჯერსს გაარტყეს




## ზღვა არის, სხვა არის... ღონე იყოს, ხერხი მოიძებნება?

გუშინდელ „სარბიელში“ გვეწერა, „ბათუმის“ გუნდის უფროსის კომენტარში გვარიანი ოპტიმიზმი რომ შევნიშნეთ. ცოტა არ იყოს, გაგვიკვირდა, რაკი ვფიქრობდით, რომ სპორტული პრინციპი ლიგიდან გავარდნილი გუნდების ყოველწლიურად შებრალების პოლიტიკაზე წინ ახლა მაინც დადგებოდა.

მაგრამ აჭარაში მყოფ ნოდარ ახალკაცს გუშინ საღამოს რომ დავურეკეთ, ბათუმელთა ოპტიმიზმი სავსებით საფუძვლიანად მოგვეჩვენა. ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი „ბათუმის“ საკითხის განხილვას აპირებს, არგუმენტი კი ის არის, გუნდი ბოლო ხანს ფინანსურად მოღონიერდაო...

„ბათუმის“ მოღონიერება, რა თქმა უნდა, გვახარებს, მაგრამ რამდენად შეიძლება იყოს ეს გარემოება გუნდის უმაღლესში დატოვების საფუძველი, ამაზე კი კითხვები გვიჩნდება.

„მერანი“ „ბათუმზე“ ნაკლებ ღონიერი გუნდია?

„დილამ“ რომ დაახვავოს ხვალ მაგიდაზე ფული?

რომელიმე პირველლიგელი რომ მიადგეს ფედერაციას, შემოგვხედეთ, როგორი ღონიერები ვართო?

ეგებ სჯობს, თავიდანვე შევთანხმდეთ, რომ პირველობას მხოლოდ ჩემპიონის გამოსავლენად ვატარებთ, უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება კი ყველას განურჩევლად აქვს, ცხადია, ფულიანს...


საქართველოს თასის ჟაზვების გათამაშების ფინალი

16 მაისი ეროვნული სტადიონი

ამერი — ზესტაფონი

ბილეთის ფასი 3.00 ლარი

დასაწყისი 20:00 საათზე

სპონსორები

ვითიბი VTB

აქსისი

საინფორმაციო მხარდაჭერა

სარბიელი

ოლიმპი 24

# ივანკოვიჩი საქართველოსა და დინამოს შორის



ბრანკო ივანკოვიჩი და ზდრავკო მამიჩი

## ხორვატული 400 ათასი თუ ქართული ნახევარი მილიონი?

**როგორც** ცხოვრებაშია, თითქმის მოგვარებული საქმის საბოლოო გადაწყვეტა თუ გაჭიანურდა, ეს კარგის ნიშანი არ არის ხოლმე. ეტყობა, ახლაც ასეა: საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატ ბრანკო ივანკოვიჩის თბილისური ვიზიტის შემდეგ ეროვნული გუნდის თავკაცად მისი დანიშვნა გადაწყვეტილი გვეგონა და საბოლოო თანხმობის მოლოდინში დღეებს ვითვლიდით, თუმც ჩვენების წინადადებაზე ხორვატის პასუხმა დაიგვიანა და ივანკოვიჩის ვარიანტიც უკვე სათუო გახდა.

ჩვენი ხორვატი კოლეგების ცნობით, გუშინ ბრანკო ივანკოვიჩი ზაგრების „დინამოს“ ვიცე-პრეზიდენტ ზდრავკო მამიჩს შეხვდა და გუნდის თავკაცად შესაძლო დაბრუნებაზე ესაუბრა.

ივანკოვიჩის ბოლო სამუშაო ადგილი, ალბათ იცით, რომ სწორედ ზაგრების „დინამო“ იყო, რომელიც, სხვათა შორის, ამ ზამთარს იმავ მამიჩთან კონფლიქტის გამო დატოვა.

ხორვატების თქმით, მამიჩი ივანკოვიჩს ხელფასის სახით თვეში 20 ათასს ევროსა და ევროსარბიელზე მეტ-ნაკლები წარმატებული თამაშისთვის ბონუსებს სთავაზობს. იანგარიშეს და გამოვიდა, რომ ივანკოვიჩს წელიწადში დაახლოებით 400 ათასი ევროს გამომუშავება შეუძლია.

ჩვენი ინფორმაციით, საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ივანკოვიჩს დაახლოებით ნახევარ მილიონსა და ბონუსებს ჰპირდება.

ზაგრების „დინამოს“ შეთავაზებაზე, ისევე, როგორც ჩვენების შეთავაზებაზე, ბრანკო ივანკოვიჩს პასუხი ჯერ არ უთქვამს, თუმც კი, ხორვატები ვარაუდობენ, რომ მწვრთნელისთვის მამიჩის წინადადება საკმაოდ მაცდურია და დიდი შანსია, ივანკოვიჩი „დინამოში“ მიბრუნდეს. ამ მწვრთნელის ხელმძღვანელობით ზაგრების „დინამომ“ წინა სეზონში დუბლი შეასრულა, ჩემპიონის ტიტულიც მოიპოვა და თასიც დაისაკუთრა, თუმც ევროპაში არაფერი გამოუვიდა.

ივანკოვიჩთან დაკავშირებას ჩვენ ჯერჯერობით ისეც ვერ ვახერხებთ, სამაგიეროდ კი, მწვრთნელმა თვისტომ ჟურნალისტებს უთხრა, რომ ამ ეტაპზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გარდა გერმანული და ფრანგული კლუბებისა და ერთ-ერთი აზიური ქვეყნის წინადადებას განიხილავს.

ამასობაში ახლოვდება ფეხბურთის ფედერაციის გენმდივნის, უჩა უგულავასა და თავად ივანკოვიჩის შეხვედრის დროც. უგულავა მანჩესტერიდან ლიუბლიანისკენ დღეს გაემგზავრება და ღამით მწვრთნელთან საბოლოო მოლაპარაკებასაც დაიწყებს. სწორედ ამაღამ უნდა თქვას ივანკოვიჩმა ბოლო სიტყვა — ჩაიბარებს თუ არა საქართველოს ნაკრებს.

ისე, ვფიქრობთ, ხორვატი მწვრთნელისთვის მთლად მიმზიდველი არ უნდა იყოს ის უახლოესი პერსპექტივა, რაც მას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტის ახლავე გაფორმების შემთხვევაში ელის და დროს წელავს.

შეგახსენებთ: საქართველოს ნაკრებს 27 მაისს სტუმრად ესტონეთთან აქვს ამხანაგური მატჩი დაგეგმილი, 31-ში კი — პორტუგალიასთან. აქედან გამომდინარე კი, სრული უფლება გვაქვს, ვივარაუდოთ, რომ ხორვატი მწვრთნელი იმიჯს უფრთხილდება და არ სურს, ნაჩქარევი დებიუტი იოლად შესაძლო მარცხით დაიმძიმოს.

თუმცა, ვნახოთ...

**კობა ინასარიძე**



ნოდარ ახალკაცი და გრიგოლ ცაავა

# ფედერაციის აჭარული

## ახალკაცმა ბათუმს უმაღლესი აღუთქვა?

**საქართველოს** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და ვიცე-პრეზიდენტი გრიგოლ ცაავა აჭარაში იმყოფებიან და იქაური ფეხბურთის პრობლემებს ეცნობიან. გუშინ ნაციონალური მოძრაობის ორგანიზებულ მინი-ფეხბურთის ტურნირის ფინალსაც დაესწრნენ. მატჩი თამარის დასახლებაში ახლახან დაგებულ ხელოვნურსაფარიან მოედანზე გაიმართა.

ახალკაცმა და ცაავამ თამარის დასახლების სკოლა ბურთებით დაასაჩუქრეს. ახალკაცმა აჭარული ფეხბურთის ყველა მაღალჩინოსანთანაც ისაუბრა და...

გავიხსენოთ, თამაზ ცინარიძემ, ვინც კარგა ხანია „ბათუმში“ საქმიანობს, გუშინდელი „სარბიელისთვის“ მიცემულ ინტერვიუში თქვა, შესაძლოა ჩვენმა კლუბმა უმაღლეს ლიგაში ადგილი შეინარჩუნოსო. ამის თაობაზე ფედერაციის პრეზიდენტს, ცხადია, ვკითხეთ.

ნოდარ ახალკაცის თქმით, „ბათუმის“ პირველი პრობლემა საკლუბო ლიცენზირების კრიტერიუმების დაუკმაყოფილებლობაა და საამისოდ „ბათუმი“ მომავალში ყველაფერს გააკეთებს.

ფედერაციის პრეზიდენტმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა: „ბათუმი“ ჩვენი ქვეყნისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გუნდია. ფეხბურთის ფედერაციის და პროფლიგის გამგეობის სხდომაზე განვიხილავთ ამ საკითხს, ვინაიდან „ბათუმი“ ჩემპიონატის მეორე წრეში საკმაოდ მოღონიერდა. მთავარი კი მაინც ლიცენზირების პროგრამის მოთხოვნების შესრულებაა.

ჰოდა, ცინარიძის და ახალკაცის ნათქვამები ერთმანეთს შუვუჯეროთ და ვფიქრობთ, საფუძვლიანი ეჭვიც ჩნდება, რომ მომდევნო სეზონში „ბათუმი“ ისევ უმაღლეს ლიგაში ითამაშებს.

**კობა ინასარიძე**

# დღეს დარბაზში, ხვალ მოედანზე

**დღეს** 17 საათზე ეროვნული სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის „ყაზბეგის“ გათამაშების ფინალისწინა პრესკონფერენცია გაიმართება.

ჟურნალისტებთან კომენტარებს გააკეთებენ „ზესტაფონისა“ და თბილისის „ამერის“ მთავარი მწვრთნელები, თემურ მახარაძე და გიორგი ჩიხრაძე. პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ კი გუნდები ეროვნულ სტადიონზე ივარჯიშებენ.

თამაშზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა ეროვნული სტადიონის ხუთ სალაროში დილის 11 საათიდან დაიწყება და ნებისმიერ მსურველს 19 საათამდე შეეძლება შეძენა. ბილეთის ფასი 3 ლარია.

# ამერმა აბრეზა დაკარგა

**„ამერი“** და „ზესტაფონი“ საქართველოს თასის ფინალში პირველად ორი წლის წინ შეხვდნენ და თუ გახსოვთ, ამერელთაგან ძირითად დროში გოლები სულიკო დავითაშვილმა და რატი წინამძღვრიშვილმა გაიტანეს. თამაში კი ამერელებმა პენალტების სერიით მოიგეს.

შარშანდელ ფინალში წინამძღვრიშვილს არ უთამაშია, რაკი სანაკრებოდ იყო გამოძახებული, ხოლო დავითაშვილმა დიმიტრი ტატანაშვილს საგოლე პასი მისცა და „ამერმა“ ის ფინალი იმ გოლით მოიგო.

ხვალინდელ ფინალში კი „ამერს“ არც რატი წინამძღვრიშვილი ეყოლება და არც სულიკო დავითაშვილი.

რატიმ ეს სეზონი ჯერ კიდევ დაწყებამდე დაასრულა, როცა სეზონისწინა შეკრებაზე უმძიმესი ტრავმა მიიღო.

აი, „აბრეზას“ თამაში კი გუშინდელი საღამოს ვარჯიშის მიწურულს მიღებული ტრავმის გამო გამოირიცხა...

რამხელაა ძალაა დავითაშვილი „ამერისთვის“, ზემოთ გახსენებული ორი ფაქტიდანაც ჩანს. გარდა ამისა, დავითაშვილი ერთადერთი ფეხბურთელია თასის სამ ფინალში რომ აქვს გოლები გატანილი...

**კოტე კეკელია**



დავითაშვილის გოლი „ამერი“ — „ზესტაფონის“ პირველ ფინალში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახლა ანტონიო ოლივეირაც



გია გურული

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის დანიშვნა გაიწელა. 16 მაისს ხორვატმა ბრანკო ივანკოვიჩმა საბოლოო „დიახ" უნდა თქვას, ამასობაში კი, გავიგეთ, რომ ივანკოვიჩისადმი ინტერესი სხვა გუნდებისგან უფრო იზრდება და უფრო ხშირად ლაპარაკობენ ზაგრების „დინამოში" მის დაბრუნებაზე. გეცოდინებათ, ერთი პერიოდი ჩვენს ნაკრებში ფრანგი ჟაკ სანტინის კანდიდატურაზეც ლაპარაკობდნენ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გია გურულს სთხოვა ფრანგული კავშირების გამოყენება და ნაკრების ყოფილი მწვრთნელის, ალენ ჟირესის თანაშემწეც სანტინის დაუკავშირდა. გურულს გუშინ საფრანგეთში რომ დავურეკეთ, საინტერესო ამბები გვითხრა, თუმცა თავიდან აქეთ შეგვეკითხა, ივანკოვიჩი ნაკრებში ჯერ არ დაუნიშნავთო?



ანტონიო ოლივეირა

## გია გურული საქართველოში აფრიკულ დესანტს აგზავნის

— როგორც ვიცოდი, 90 პროცენტით გადაწყვეტილი იყო ივანკოვიჩის საკითხი. მხოლოდ კონტრაქტზე ხელმოწერა აკლიაო... სანტინის ვარიანტიც იმიტომ მიიჩქმალა.

— სანტინიმ უარი თქვა?

— არა, ზეგ უნდა მითხრას საბოლოო პასუხი. მასაც აქვს სხვა გუნდებიდან მოწვევები. არ ვიცი, ისე ვატყობ, რომ ზრდილობიან უარს ამბობს. თუმც, თუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მოინდომებს, კიდევ მაქვს ერთი ვარიანტი და თან სანტინიზე რეალური.

— კერძოდ?

— პორტუგალიელი მწვრთნელი ანტონიო ოლივეირა. მისი აგენტი ჩემი პარტნიორია. ოლივეირა ძალიან გამოცდილი და კვალიფიციური მწვრთნელია. ოთხი წელიწადი წვრთნიდა პორტუგალიის ნაკრებს (1994-1996, 2000-2002 წლებში), კარგი შედეგები ჰქონდა კლუბებშიც... ბოლოს საუდის არაბეთის კლუბში იყო, ახლა კი უმუშევარია.

— ოლივეირას უკვე ესაუბრეთ?

— ჯერ ფედერაციისგან მინდა თანხმობა, სურთ თუ არა ეს მწვრთნელი. რევაზ არველაძეს გავუგზავნე წერილი ოლივეირას ვარიანტზე და პასუხი ჯერ არ მიმიღია. როგორც კი ფედერაციიდან თანხმობას მივიღებ, იმ დღესვე დავუკავშირდები მას.

— სხვაზეც ვთქვათ: თქვენი ვაჟი სანდრო სეზონის ბოლოს უეჭველად მიდის „ლიონ-დუშერიდან"?

— უეჭველად არა, მაგრამ, ალბათ, წავა. ჯერ სეზონი არ მორჩენილა, ამიტომაც კონკრეტულად მსურველ გუნდებს ვერ ვიტყვი...

— როგორც გავიგეთ, ბელგიურ „მუსკრონში" ყოფილა სანდრო გასინჯვაზე...

— ეს ადრე იყო, მაშინ „მუსკრონს" ცენტრალური თავდამსხმელი სჭირდებოდა, სანდრო კი შემტევი ნახევარმცველია და ეს ტრანსფერი აღარ გამოვიდა. თუმცა დიდი შანსია, ზაფხულიდან სწორედ ბელგიის იუპილერლიგის ერთ-ერთ გუნდში გააგრძელოს კარიერა.

— საზაფხულოდ რომელიმე ქართული კლუბისთვის ხომ არ აპირებთ უცხოელი ფეხბურთელების გამოგზავნას?

— თბილისის „დინამოდან" და რუსთავის „ოლიმპიდან" დამიკავშირდნენ ამის თაობაზე. 8 ფეხბურთელის სია მაქვს და ვნახოთ... ყველა მათგანი აფრიკის ქვეყნებიდანაა, მათ შორის, ტოგოს ეროვნული, კამერუნისა და კოტ დივუარის ახალგაზრდული ნაკრებების ფეხბურთელები. საკმაოდ კარგი მოთამაშეები არიან და ველოდები ქართული გუნდების პასუხს.

*ოლივეირასთან დაკავშირებით რევაზ არველაძეს შევეხმიანეთ და ეს გვიპასუხა:*

*„დიახ, გურულმა გამომიგზავნა წერილი მის შესახებ, თუმც ჯერ ივანკოვიჩის პასუხს ველოდებით, რომელიც საბოლოოდ პარასკევს უნდა თქვას. ივანკოვიჩის უარის შემთხვევაში რამდენიმე კანდიდატურა გვაქვს და ერთ-ერთი ოლივეირაც იქნება".*

**ილია ნანობაშვილი**

საქართველოს მე-19 ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტური 20 მაისს ჩატარდება, თუმც სამი დაქვეითებული გუნდის ვინაობა უკვე ცნობილია — თბილისის „მერანი", გორის „დილა" და „ბათუმი". ზღვისპირელებმა მეორე წრეში შემადგენლობა საგრძნობლად გააძლიერეს, მაგრამ ამას შედეგზე გავლენა არ მოუხდენია და „ბათუმი" პირველად გავარდა უმაღლესი ლიგიდან.
რა იყო იმის მიზეზი, რომ „ბათუმს" თამაში არ წაუვიდა? ამ და სხვა კითხვებზე **გიორგი ჭელიძემ** გვიპასუხა, რომელიც ბათუმელებს მოსკოვის „ლოკომოტივიდან" იჯარით ჰყავდათ აყვანილი...



## ჩემი ბედი მოსკოვშია

— ყველანი ძალიან გულდაწყვეტილები ვართ, რადგან ვერ შევძელით „ბათუმის" უმაღლეს ლიგაში დატოვება.

— მეორე წრეში გუნდში ბევრი ახალი ფეხბურთელი მოვიდა და თითქოს შემადგენლობაც ნორმალური შეიკრიბა...

— ვერ შევთამაშდით და ალბათ სწორი დარიგებაც გვაკლდა... ფაქტია, თამაშები ვერ მოვიგეთ და პირველ ლიგაში დავქვეითდით.

— პირველ წრეში „ზესტაფონში" იყავი და რვა გოლი გაიტანე, „ბათუმში" კი ეს ერთხელაც ვერ მოახერხე. ფორმიდან ამოვარდი, თუ რა არის ამის მიზეზი?

— რა გითხრათ... მთელ გუნდს არ მიგვდიოდა თამაში და მეც ველარ გავიტანე.

— ახლა რას აპირებ?

— ბოლო თამაში თბილისის „ლოკომოტივთან" გვაქვს და შემდეგ 25-30 მაისამდე მოსკოვში უნდა ჩავიდე. ჯერაც „ლოკომოტივის" საკუთრება ვარ და ვნახოთ...

— ქართული გუნდებიდან ხომ არ გქონია შემოთავაზება?

— არა, წინადადებები არ ყოფილა. სავარაუდოდ, რუსეთის რომელიმე გუნდში გამანათხოვრებს „ლოკომოტივი".

— შენი ძმა ლაშა ყაზახურ „ქაისარში" თამაშობს, რომელიც ჩემპიონატს ლიდერობს და ხომ არ არის შესაძლებელი, შენც ყაზახეთში წახვიდე?

— ძალიან მიხარია, რომ ლაშა ყაზახეთში წარმატებით თამაშობს, ჩემი მომავალი კი „ლოკომოტივზე" დამოკიდებული. ვნახოთ, რას მეტყვიან...

**ნუგზარი ლოლაძე**

## რუსთავი, ბოლნისი, გორი: ვის ერგება პლეი ოფი?

**გუშინ** საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის გათამაშება დასრულდა და ოფიციალურად დაესვა ბეჭედი — აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონების გამარჯვებულები „გაგრა" და ჭიათურის „მაღაროელი" არიან.

ეს გუნდები 18 მაისს შეეცილებიან ერთმანეთს უმაღლესი ლიგის საგზურს.

რამდენიმე დღის წინ „გაგრას" მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ჭიაბრიშვილმა გვითხრა, თამაში, სავარაუდოდ, რუსთავში ჩატარდებაო, თუმცა გუშინ საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის საშეჯიბრო კომიტეტის ხელმძღვანელმა ნოდარ კაკულიამ ეს გვითხრა: „რუსთავის, ბოლნისის და გორის სტადიონების დირექტორებს უნდა შევხვდეთ და ხვალ საბოლოოდ გადავწყვეტთ, სად ჩავატაროთ „მაღაროელი" — „გაგრას" საპლეიოფო მატჩი".

შეგახსენებთ, რომ ამათ შორის დამარცხებულს კიდევ ერთი შანსი ექნება: ცხინვალის „სპარტაკს" ან თბილისის „ლოკომოტივს" გაეჯიბრება.

**ნუგზარი ლოლაძე**

### საქართველოს 19 ჩემპიონატი
### პირველი ლიგა, 27 ტური

**აღმოსავლეთი**

ოლიმპიკი 3:0 ნ.დინ-მერანი 2
დინამო 2 5:1 ოლიმპი 2
ჩიხურა 2:0 ამერი 2
კახეთი 0:3 გაგრა
ვიტ ჯორჯია 2 2:0 მეშაქრე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გაგრა | 27 | 16 | 6 | 5 | 59:36 | 54 |
| დინამო 2 | 27 | 14 | 7 | 6 | 41:23 | 49 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 27 | 14 | 6 | 7 | 41:21 | 48 |
| მეშაქრე | 27 | 13 | 9 | 5 | 34:22 | 48 |
| ჩიხურა | 27 | 12 | 7 | 8 | 40:37 | 43 |
| ოლიმპი 2 | 27 | 9 | 8 | 10 | 34:41 | 35 |
| კახეთი | 27 | 10 | 4 | 13 | 38:41 | 34 |
| ამერი 2 | 27 | 9 | 2 | 16 | 42:44 | 29 |
| ოლიმპიკი | 27 | 7 | 4 | 16 | 38:52 | 25 |
| ნ.დინ-მერანი 2 | 27 | 1 | 7 | 19 | 20:70 | 10 |

**დასავლეთი**

სამტრედია 0:0 ხობი
კოლხეთი 3:0 მერანი (მ)
ზესტაფონი 2 0:3 ტორპედო
მაღაროელი 5:0 მეშახტე
უნივერსიტეტი 3:0 ფაზისი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაღაროელი | 27 | 21 | 4 | 2 | 56:17 | 67 |
| მეშახტე | 27 | 14 | 2 | 11 | 39:41 | 44 |
| მერანი (მ) | 27 | 13 | 5 | 9 | 36:25 | 44 |
| ზესტაფონი 2 | 27 | 12 | 4 | 11 | 39:28 | 40 |
| კოლხეთი | 27 | 11 | 7 | 9 | 36:33 | 40 |
| ტორპედო | 27 | 11 | 6 | 10 | 37:31 | 39 |
| ხობი | 27 | 10 | 8 | 9 | 35:27 | 38 |
| სამტრედია | 27 | 9 | 5 | 13 | 35:50 | 32 |
| უნივერსიტეტი | 27 | 9 | 3 | 15 | 24:29 | 30 |
| ფაზისი | 27 | 2 | 2 | 23 | 17:73 | 8 |

*„ფაზისი" მოხსნილია გათამაშებიდან*

# შრომა, ბევრი შრომა!

## ზაქარია ბეგლარიშვილი აიაქსურ მომავალზე

18 წლის ქართველი ნახევარმცველი ზაქარია ბეგლარიშვილი დაახლოებით ერთ თვეში უკვე ამსტერდამის „აიაქსში“ იქნება. გეცოდინებათ, ბეგლარიშვილმა უკვე გააფორმა კონტრაქტი ამ ევროგრანდთან, რაც ორკვირიანი ვარჯიშის და გასინჯვების მერე მოხდა. შეგახსენებთ: ზაქარიას „აიაქსში“ გადასვლა ძმები არველაძეების ფონდის დახმარებით მოხერხდა... ახალგაზრდა ქართველი იმედიანად გველაპარაკა, ვიცი, რა დონის გუნდში მივდივარ და ისიც ვიცი, რომ დიდი შრომა დამჭირდება იქ თავის გამოსაჩენად, მაგრამ არ ვნერვიულობ, პირიქით, სტიმული მიათმაგდებაო...



ზაქარია ბეგლარიშვილი (მარჯვნივ) 19-წლამდელთა ნაკრებში თამაშისას

— როდის უნდა წაზვიდე „აიაქსში“?

— 3 ივნისს შოთა არველაძის ფეხბურთიდან გაცილების მატჩში ვითამაშებ. ამ თამაშზე ხომ ძმები დე ბურებიც ჩამოდიან და, სავარაუდოდ, მათთან ერთად გავემგზავრები ამსტერდამში.

— მანამდე სად ვარჯიშობ?

— ინდივიდუალურად ვვარჯიშობ ჩემს პირველ მწვრთნელ პაატა მეტრეველთან.

— „აიაქსში“ ორკვირიან ვარჯიშებზე იყავი. შთაბეჭდილებები?

— ყველა კმაყოფილი დარჩა ჩემი თამაშით. „აიაქსის“ დუბლებთან ერთად ვვარჯიშობდი, სადაც ხანდახან ძირითადის ფეხბურთელებიც იყვნენ. მე ყველაზე უმცროსი ვიყავი მათ შორის. შთაბეჭდილებები კი... ყველანი მამხნევებდნენ, მწვრთნელი სონი სილოი, აარონ ვინტერი, დე ბურები... „ამსტერდამ არენაზე“ ვიყავი, სასწაული სტადიონია, მაგარი ფანები ჰყავთ...

— „აიაქსში“ თავიდან ასაკობრივ გუნდში ითამაშებ?

— არა, დუბლებში ვიქნები. ამ გუნდის მწვრთნელი სონი სილოია, რომელიც „აიაქსში“ და ჰოლანდიის ნაკრებში თამაშობდა, თუმც როგორც ვიცი, მის ნაცვლად, შესაძლოა, ფრანკ დე ბურიც დანიშნონ.

— საქართველოს ყველა ასაკობრივი ნაკრები გამოიარე, თუმც 21-წლამდელებში ერთადერთხელ ითამაშე. როგორ ფიქრობ, უკვე შეგიძლია ამ ნაკრებში თავის წარმოჩენა?

— ვნახოთ, მწვრთნელის გადასაწყვეტია... 21-წლამდელებში მხოლოდ ერთხელ, ლუქსემბურგთან ვითამაშე. ლატვიასთან კი გამოძახებული ვიყავი, მაგრამ მეორე დღეს „აიაქსში“ მივდიოდი და მწვრთნელ პეტარ სეგრტს ვთხოვეთ გათავისუფლება.

— როგორც ფეხბურთელს, ყველაზე მეტად რა გაქვს გასაუმჯობესებელი?

— ყველაფერი გასაუმჯობესებელი მაქვს. ჯერ რა დროს ჩემი სრულყოფილებაა... ძალიან ბევრი უნდა ვიშრომო — აი, ეს მაქვს გონებაში.

**ილია ნანობაშვილი**

# სასკოლო ფინალი: ამერი თბილისისაა

**რა** შეხსენება უნდა: საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის „ყაზბეგის“ გათამაშების ფინალი 16 მაისს „ეროვნულზე“ გაიმართება. „ამერი“ და „ზესტაფონი“ ფინალში უკვე ზედიზედ მესამედ ხვდებიან — წინა ორში თბილისელებმა იმარჯვეს და ვნახოთ, ახლა რა იქნება.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგამ ამ მატჩისთვის მზადება კარგა ხანია, დაიწყო და გუშინ ერთ კეთილ წამოწყებასაც ჩაუყარა საფუძველი — თბილისის სკოლები ფინალის ბილეთებით დაასაჩუქრა.

გუშინ მე-20 საჯარო სკოლას პროფლიგის გენერალური მდივანი პაატა ბურჯალიანი და ეზოს ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტი შოთა ბაქრაძე ეწვივნენ. ამ სკოლამ მთაწმინდის რაიონში სკოლბურთში იმარჯვა და ამიტომ ერგოთ მათ სხვებზე მეტი ბილეთი. სტუმრებმა მოსწავლეებს ისიც ჰკითხეს, ფინალში ვის უქომაგებთო და პასუხიც ცალსახა მიიღეს — თბილისელები ვართ და, რა თქმა უნდა, „ამერსო“.

**ნუგზარ ლოლაძე**

# გურჯუ, გურჯუ!

## ორი ჩათვლილი, ორიც არჩათვლილი: მსაჯმა გულნარას თამაში მიატოვებინა



ქრისტინე შადობამ და გულნარა გაბელიამ სეზონი დაასრულეს

**ქართველი** გოგონების, გულნარა გაბელიას და ქრისტინე შადობას „ტრაბზონსფორმა“ სეზონი დაასრულა — მეორე ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩი „ტრაბზონსფორმა“ ჩემპიონატის ფავორიტ „ბუჯასფორთან“ 2:3 წააგო და 4 მატჩში დაგროვებული 7 ქულა პლეი ოფში გასასვლელად აღარ ეყო.

„ბუჯასფორთან“ მატჩი კი სკანდალური გამოდგა — მე-3 და მე-20 წუთებზე გაბელიამ ორი გოლი გაიტანა და „ტრაბზონსფორიც“ 2:0 დაწინაურდა. მალე მასპინძლებმა ერთი ბურთი გაქვითეს, თუმცა გულნარამაც გამოიჩინა თავი — ჯარიმით ცხრიანში შეაგდო ბურთი და... მსაჯმა გოლი არ ჩათვალა!

ამან „ტრაბზონსფორის“ მწვრთნელ-ხელმძღვანელები, ცხადია, გააცოფა, თუმცა მთავარმა მსაჯმა გადაწყვეტილება, აღარ შეცვალა და მალე თამაშიც გაგრძელდა...

უარესი მოხდა მეორე ტაიმში — გაბელიამ ისევ საჯარიმო დარტყმით გაიტანა მორიგი გოლი, მაგრამ... მსაჯმა ისევ არ ჩათვალა!

აყალმაყალი და გაწევ-გამოწევა აქ უნდა გენახათ. ქართველი გოგონების მენეჯერ კახა ადამიას ცნობით, ტრაბზონსფორელებმა თამაშის ჩაშლაც კი დააპირეს, თუმცა მერე ყველაფერი დალაგდა და... სად არის გულნარა? ატირებული ქართველი თავდამსხმელი გასახდელისკენ გაეშურა. როგორ არ ეცადნენ მწვრთნელები მის დაყოლიებას და საბოლოოდ თამაშის გაგრძელებაზე მაინც დაითანხმეს.

მსაჯის ქმედებებმა „ტრაბზონსფორი“ ძალიან შეავიწროვა — მე-80 წუთზე „ბუჯასფორმა“, როგორც იქნა, მოახერხა ანგარიშის გათანაბრება, 89-ეზე კი ქრისტინე შადობას შეცდომით მესამე გოლიც გაიტანეს და საბოლოოდ 3:2.

„ტრაბზონსფორმა“ თურქეთის ფეხბურთის ფედერაციაში საჩივარი უკვე შეიტანა და ალბათ იმ მსაჯს ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია არ ასცდება, მატჩის შემდეგ კი სტადიონზე მისულმა 500-მდე გულშემატკივარმა „გურჯუ, გურჯუს“ ძახილით გააცილა აქვითინებული გაბელია.

ამგვარად, იანვრის შემდეგ ჩატარებულ 8 მატჩში „ტრაბზონსფორმა“ 37 გოლი გაიტანა და აქედან 22 გულნარამ შეაგდო. „ტრაბზონსფორი“ კი, რომელიც აქამდე უმდაბლეს მესამე ეტაპზე თამაშით თუ კმაყოფილდებოდა, ახალ სეზონს სუპერლიგაში გაატარებს.

და ერთიც: კახა ადამიას ცნობით, რუსულმა სუპერკლუბმა „როსიანკამ“ გულნარას თამაშების ფირები მოითხოვა, ყაზახური „ალმა KTZ“-ს მწვრთნელი კი პირადად ჩავიდა თურქეთში გულნარას სანახავად. თუმცა ტრაპიზონელები ქართველ ფეხბურთელს ვერ ელევიან და ალბათ გულნარა ერთი წლით დარჩება თურქეთში...

**კახა შალამბერიძე**

# ჩვენი მეტოქე...



# ტრაპიმ 27 კაცს დაუძახა

**მსოფლიოს** 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების მეტოქის, ირლანდიის მთავარმა მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ პორტუგალიაში დაგეგმილ შეკრებაზე 27 ფეხბურთელი გამოიძახა.

ირლანდიელები პორტუგალიაში ორ ტესტ-მატჩს გამართავენ: 24 მაისს სერბეთს გაეჯიბრებიან, ხოლო 29-ში — კოლუმბიას.

***მეკარეები:*** *დოილი (ბირმინგემი, ინგლისი), კილი (ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი), მერფი (სკანთორფი, ინგლისი);*

***მცველები:*** *ბრიუსი (იფსვიჩი, ინგლისი), დელანი (ქუინზ პარკ რეინჯერსი, ინგლისი), დანი (სიტი, ინგლისი), ფოლი (ვულვერჰემპტონი, ინგლისი), კელი (ბირმინგემი, ინგლისი), მაკშეინი (სანდერლენდი, ინგლისი), ოდი (სელტიკი, შოტლანდია), ოში (მანჩესტერი, ინგლისი);*

***ნახევარმცველები:*** *დაფი (ნიუკასლი, ინგლისი), გარვანი (იფსვიჩი, ინგლისი), ჰულაჰანი (ბლექპული, ინგლისი), ჰანტი (რედინგი, ინგლისი), მაკგიდი (სელტიკი, შოტლანდია), მაკფეილი (კარდიფი, უელსი), რიდი (სანდერლენდი, ინგლისი), მილერი (სანდერლენდი, ინგლისი), პოტერი (ვულვერჰემპტონი, ინგლისი), უილანი (სტოკი, ინგლისი);*

***თავდამსხმელები:*** *სკანელი (კრისტალ პალასი, ინგლისი), დოილი (რედინგი, ინგლისი), ლონგი (რედინგი, ინგლისი), კინი (ტოტენჰემი, ინგლისი), მერფი (სანდერლენდი, ინგლისი), კიოგი (ვულვერჰემპტონი, ინგლისი).*

**კახა შალამბერიძე**

# ბიჭს მადრიდი უნდა

## რონალდუ ესპანეთზე ჩელსის მერე დაფიქრდება

**მადრიდის** „რეალის“ პრეზიდენტი რამონ კალდერონი იმაზე ოცნებობს, როდის ნახავს კრიშტიანუ რონალდუს „სანტიაგო ბერნაბეუზე“. სენიორ კალდერონის მიერ წარმოდგენილმა სპორტულმა პროექტებმა სამეფო გუნდს ესპანეთის ჩემპიონობა ორჯერ ზედიზედ მოუტანა და ჩაუქი კრიშტიანუს ყიდვაც ხსენებული პროექტის იღბლიან გაგრძელებად ითვლება.

მართალია, „მანჩესტერ იუნაიტედს“ რონალდუს თაობაზე სიტყვა „გარიგების“ გაგონებაც არ სურს, მაგრამ თავად ფეხბურთელზეც ხომ ბევრი რამ არის დამოკიდებული. მოსკოვის საჩემპიონთალიგო ფინალის შემდეგ, რომელშიც „იუნაიტედი“ აბრამოვიჩის „ჩელსის“ უნდა შეერკინოს, პორტუგალიელი ფეხბურთელის პოზიცია ტრანსფერზე მნიშვნელოვნად იმოქმედებს.

„რეალის“ სამომავლო-სატრანსფერო პოლიტიკის ქვაკუთხედი კი კრიშტიანუ რონალდუა. პრეზიდენტი კალდერონი და გუნდის სპორტული დირექტორი პრედრაგ მიატოვიჩი ძალ-ღონეს არ იშურებენ იმისთვის, რომ პორტუგალიელი მადრიდში ჩაიყვანონ. შეგახსენებთ, რომ რონალდუმ პრემიერლიგაში „უიგანის“ დამარცხების შემდეგ, „მანჩესტერთან“ ერთად, 2007-08 წლების სეზონის ინგლისის ჩემპიონობა უკვე იზეიმა და „ოქროს ბურთის“ წლევანდელ მფლობელადაც, ალბათ, მას დაასახელებენ.

თავის მხრივ, ესპანეთში კარიერის გაგრძელების შესაძლებლობას კრიშტიანუც არ გამორიცხავს. მანჩესტერელთა ვარსკვლავმა „ბარსელონასთან“ ჩემპიონთა ლიგაში მიღწეული გამარჯვების მერე ერთ ინტერვიუში განაცხადა: „ადრე თუ გვიან, ესპანეთში აუცილებლად ვითამაშებ, რადგანაც პრიმერადივიზიონი და იქაური ფეხბურთი ძალიან მომწონს“. „რეალს“ იმედს უსახავს ფეხბურთელის აგენტის, ჟორჟე მენდეშის საქციელიც, ვისაც სამეფო გუნდის წარმომადგენელთათვის გადაჭრით არასოდეს უთქვამს უარი რონალდუს „გაესპანელებაზე“.

„ბიჭს „რეალში“ თამაში უნდა, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ სატრანსერო ოპერაცია დიდ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული. „მანჩესტერი“ არაფერს დათმობს, მაგრამ, თუ რომელიმე ფეხბურთელმა კლუბიდან წასვლა მტკიცედ გადაწყვიტა, ამაში ხელს ვერ შეუშლიან“ — უთხრა სეუ მენდეშმა პრედრაგ მიატოვიჩს.

რონალდუ კი ჯიუტად იმეორებს, რომ სამომავლო გეგმებზე ზრუნვას მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის ფინალის შემდეგ შეუდგება. ამრიგად, წესით, პორტუგალიელის ტრანსფერის საქმეში გადამწყვეტი 21 მაისიდან (ჩემპიონთა ლიგის ფინალი) 7 ივნისამდე (ევროპის ჩემპიონატის დაწყების თარიღი) პერიოდი უნდა გამოდგეს. მაშინ ეცდება პრეზიდენტი კალდერონი, „მანჩესტერის“ მეპატრონე გლეიზერთა ოჯახის დარწმუნებას, ჟორჟე მენდეშის „ბიჭმა“ „ოლდ ტრეფორდზე“, რაც მოსაგები იყო, ყველაფერი მოიგო და უკვე დროა, მადრიდში გამოუშვათო.

იანკი გლეიზერები კიდევ შეიძლება, მაგრამ სერ ალექს ფერგიუსონს უნიჭიერესი შეგირდის გასხვისებაში ვინლა დაითანხმებს? შოტლანდიელს ასეთ შემთხვევებში გაჯიუტება სჩვევია და თავის დროზე ბექჰემიც მხოლოდ იმიტომ გაგზავნა მადრიდში, ფეხბურთელთან საერთო ენა რომ ვერ გამონახა... ასეა თუ ისე, „რეალი“ თავისას ეცდება, კრიშტიანუ რონალდუს „მანჩესტერიდან“ გამოხსნის ოფიციალური ღირებულება კი 70 მილიონი ევრო გახლავთ.

**ლადო ხომერიკი**





# დიდიეს დიდი ოცნება

## მაუმ ტელეფონი ლაუდსპიკერზე ჩართო

**დიდიე დროგბამ** „ჩელსიში“ ხალხი გააოგნა: „მილანში“ გადასვლაზე ვოცნებობო, განაცხადა კოტდივუარელმა ფორვარდმა. მიმომხილველებმა ყურადღება გაამახვილეს, რომ ეს აღიარება „ჩელსის“ ვარსკვლავმა თანაგუნდელებს „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ჩემპიონთა ლიგის ფინალურ თამაშამდე ერთი კვირით ადრე „აჩუქა“. მაგრამ, ასეა თუ ისე, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მოსკოვური ფინალი დროგბასთვის ლონდონელი „ლურჯების“ შემადგენლობაში ბოლო მატჩი იქნება. თურმე, ნუ იტყვით და ინგლისური გუნდის აფრიკელი თავდამსხმელი ჯერ კიდევ როდის შეხვედრია პაოლო მალდინის და „მილანის“ სხვა ოფიციალურ პირებს. თან, აფრიკელი მილანში კერძო თვითმფრინავით გადაფრენილა.

— „მილანში“ თამაში ყველა ფეხბურთელის ოცნებაა — თქვა დროგბამ — პაოლო მალდინის ავუხსენი, რომ „შავ-წითლები“ სწორედ ჩემი ოცნების გუნდია და მე იქ გადასვლა ძალიან მინდა“.

ეს ამბავი დროგბას ავტობიოგრაფიული წიგნიდან გახდა ცნობილი. ცნობილი გახდა ისიც, რომ მილანში ვიზიტისას, ის „როსონერის“ ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანისაც შეხვედრია. ამ შეხვედრისას გალიანის უკითხავს, ჩვენთან გადმოსვლა როდის გინდაო, რაზეც ფორვარდს ასე უპასუხია:

„როდესაც თქვენ ისურვებთ. ყველაფერი მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული, აიღეთ ფული და მიდით „ჩელსისთან“ მოსალაპარაკებლად“.

ეს იყო და მეორე დღეს გალიანიმ ლონდონში დარეკა...

თუმცა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, გალიანისთან და მალდინისთან შეხვედრა ახალი ამბავი არ არის, ჯერ კიდევ 2006 წლის აგვისტოში მოხდა. ნუ დაგავიწყდებათ, რომ „ჩელსის“ თავკაცი მაშინ ჟოზე მაურინიუ იყო.

საკუთრივ ისტორია კი ფრიად საინტერესო და დრამატულია: დროგბას მაურინიუსთვის უთქვამს, პარიზში კბილის ექიმთან უნდა გადავფრინდეო და... გეზი მილანისკენ უცვლია.

ზემოთ ისიც მოგახსენეთ, რომ დროგბასთან საუბრის შემდეგ გალიანიმ „ჩელსის“ აღმასრულებელ დირექტორ პიტერ კინიონთან დარეკა და, ბუნებრივია, მაურინიუმ ყველაფერი მყისვე შეიტყო. უნდა ითქვას, რომ პორტუგალიელმა მწვრთნელმა თავისი რჩეული ფეხბურთელების დაგეშოვნება იცის და როდესაც შეიტყო, რომ მისი 24 მილიონ გირვანქად ღირებული თავდამსხმელი ანგარიშის გასწორება ითხოვს, გაცოფდა. „მაუმ“ დროგბას დაურეკა და სულ მოღალატე უძახა. თავად 30 წლის დროგბა ამბობს, რომ ეს მწარე გაკვეთილს არასდროს დაივიწყებდა:

„ჟოზემ ტელეფონი ლაუდსპიკერზე ჩართო და თქვა: კეთილი, ბავშვები არ ვართ, მოდი ვილაპარაკოთ. მე შენ გენდობოდი, შენთვის ყველაფერს ვაკეთებდი და უცებ მეუბნები, რომ პარიზში კბილის ექიმთან მიდიხარ, სინამდვილეში კი მილანისკენ მიფრინავ და საკუთარი ტრანსფერის საქმეს აგვარებ. შენ მე მომატყუე. სიტყვა გატეხე. აქამდე რა, ცუდად გრძნობდი ჩემთან თავს?“

ერთი სიტყვით, მაურინიუ ისე გაბრაზებულა, რომ დროგბასთვის სარეზერვო გუნდში მიუსჯია ვარჯიში და მეტიც, ყოფილი მარსელელი მეორე დღეს „ჩელსის“ რეზერვისტთა შემადგენლობაში „ვესტ ჰემის“ რეზერვისტებს შეახვედრა.

თუმცა კოტდივუარელი ვარსკვლავი თავის მენტორს მალევე შეურიგდა და, რაც მთავარია, ამბავმა, რომელიც ზემოთ მოგიყევით, მასზე საუცხოოდ იმოქმედა: 2006-07 წლების სეზონში დროგბამ 34 გოლი შეაგდო, ეს კი ერთგვარი რეკორდის გამეორება გამოდგა — თურმე, 1985 წელს კერი დიქსონმა რომ გაიტანა ერთ სეზონში 30 გოლზე მეტი, მას მერე არცერთ „ლურჯს“ ასეთი რამ არ მოეხერხებინა.

ამის შემდეგ, „განსაკუთრებულმა“, ანუ ჟოზე მაურინიუმ თავის შეგირდს დიდი პატივი მიაგო და გასული საზონის დასაწყისში, როდესაც თანამდებობიდან მოხსნეს, დროგბას უთხრა:

„შენ მსოფლიოში საუკეთესო თავდამსხმელი ხარ და, რაც მთავარია, ასეთად საკუთარი თავი თავად შექმენი. შენით ვამაყობ და მინდა, მთელს დედამიწას დაანახო შენი სიძლიერე“.

ამ სიტყვებმა დროგბაზე ისე იმოქმედა, რომ ცრემლები დაღვარა და როდესაც მაურინიუმ „ჩელსის“ კარი გაიხურა, ის თანაგუნდელების დასაწყნარებელი შეიქნა.

თუმცა, პორტუგალიელი მწვრთნელის წასვლის შემდეგ აფრიკელი ვარსკვლავი ნიადაგ „ჩელსიდან“ წასვლაზე ლაპარაკობდა.

ასე და ამგვარად, როგორც ჩანს, მოსკოვური ფინალი დროგბას ბოლო მატჩია „ჩელსის“ შემადგენლობაში, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაძლია, ლონდონიდან საგანგებო წასვლა მოიწყოს.

„ჩემპიონთა ლიგის თამაში სხვაა — ამბობს დროგბა — ვიცით, რომ „მანჩესტერ იუნაიტედის“ დამარცხება შეგვიძლია. ეს ჩვენ ორი კვირის წინ პრემიერლიგაში დავამტკიცეთ, თუმცა ჩემპიონები ისინი გახდნენ და სრულიად დამსახურებულადაც. მათ მთელი სეზონი თანმიმდევრულად ჩაატარეს, ჩვენ კი უამრავი შეცდომა დავუშვით. ბოლო თამაშში, „ბოლტონთან“ იმ მუხლში ჩამარტყეს, რომელზეც რამდენიმე თვის წინ ოპერაცია გავიკეთე, მაგრამ არა უშავს. თამაშამდე დარჩენილი კვირის განმავლობაში ვივარჯიშებ. რაც შეეხება წავსლას... ჯერჯერობით მხოლოდ ფინალზე ვფიქრობ, ხოლო რა მოხდება ივნისში, ამას მერე ვნახავთ“.

**პაატა ქედია**



## მუშტი კამერამ დაიჭირა

**ხულიო კრუსი** და მარკო მატერაცი იტალიის თასის ფინალში ვერ ითამაშებენ. „ლაციოსთან“ ნახევარფინალურ მატჩში მატერაცი გორან პანდევს ეუხეშა, რისთვისაც გააძევეს და ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს.

კრუსმა ალექსანდრ კოლაროვს მუშტი ჰკრა, რაც მსაჯმა ვერ დაინახა, მაგრამ ტელეკამერამ არგენტინელი გამოიჭირა და სადისციპლინო კომიტეტმა სამმატჩიანი სასჯელი გამოუწერა.

თასის ფინალი 24 მაისს გაიმართება და ზედიზედ მეოთხედ ერთმანეთს „ინტერი“ და „რომა“ შეხვდებიან.

## ამაურიმ აურია

**„პალერმოს“** ფორვარდის ამაურის აგენტმა მარიანო გრიმალდიმ „იუვენტუსისგან“ თავი შორს დაიჭირა. ჩემი კლიენტი, შესაძლოა, „მილანში“ ან „რეალში“ გადავიდესო.

ბრაზილიელი მეგოლე ცოტა ხნის წინ აცხადებდა, 90 პროცენტით იუვენტუსელი ვარო, მაგრამ საქმე მთლად ასეც არ ყოფილა.

მარიანო გრიმალდის სურს, რაც შეიძლება სარფიანი კონტრაქტი გაურჩხოს ფეხბურთელს და ამბობს, რომ „იუვე“ ფავორიტი არაა: „ამაურის საკითხი ჯერჯერობით ჰაერშია გამოკიდებული. არანაირი შეთანხმება და „იუვესთან“ შავით-თეთრზე დაწერილი კონტრაქტი არ არსებობს. სხვა კლუბებიც არიან დაინტერესებულნი ფეხბურთელით და ისინი იანვრიდან მუდმივად მაწუხებენ. „მილანს“, „რეალს“ და „იუვენტუსს“ სრულიად თანაბარი შანსი აქვთ.

## ბერეტას ატყუებენ

**„სიენას“** მხნელ მწვრთნელ მარიო ბერეტას კლუბის შეფებმა უგანეს და ახალ კონტრაქტს არ სთავაზობენ.

ბერეტამ გუნდი ნოემბერში ანდრეა მანდორლინისგან ჩაიბარა და ცხრილის ფსკერიდან ამოათრია. „სიენამ“ გასულ ტურში „ინტერს“ სტუმრად ქულა წაართვა, იმის წინ შინ „იუვენტუსს“ მოუგო და ამ ოთხი ქულით სერია A-ში ადგილი დაიბევა, მაგრამ ბერეტა ამაოდ ელის კონტრაქტის გახანგრძლივებას.

„მითხრეს, რომ როგორც კი გუნდი ელიტაში ადგილს შეინარჩუნებდა, მეორე დღესვე ახალ ხელშეკრულებას შემომთავაზებდნენ, თუმც ჯერ ჩემთან არავინ მოსულა“ — დაიჩივლა მწვრთნელმა. იტალიური მედიის ცნობით, „სიენას“ პრეზიდენტს ბერეტას შეცვლა მარკო ჯამპაოლოთი სურს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# გირარდიმ კუპერი ახსნა



რამდენიმე თვის წინ გირარდიმ კუპერი მხნელად მოიყვანა...

**„პარმას“** პრეზიდენტმა ტომაზო გირარდიმ ახსნა, თუ რატომ გაათავისუფლა მწვრთენელი ექტორ კუპერი „ინტერთან“ ბოლო ტურის მატჩის წინ. პარმელები გასულ კვირას „ფიორენტინასთან“ სტუმრად დამარცხდნენ და წაგებას არგენტინელი თავკაცი გადააყოლეს, რომელიც ადრე „ინტერში“ მუშაობდა და 2003 წლის შემოდგომაზე იქიდანაც მოხსნეს.

„ეს გადაწყვეტილება კლუბის სასიკეთოდ მივიღე — თქვა გირარდიმ — შარშანაც ბოლო სასწაულით ტურში („ემპოლისთან“ მოგებით) გადავურჩით გავარდნას და ახლაც ამის იმედი მაქვს. გულისამრევია ის ხალხი, რომელიც ამტკიცებს, თითქოს კუპერი იმიტომ გავუშვი, რომ „ინტერს“ სამი ქულა უნდა დავუთმოთ. „პარმას“ ბედი ამ გუნდის ფეხბურთელების ხელშია და იმის ილუზია არ მაქვს, რომ დროებითი მწვრთნელი ანდრეა მანცო ერთ კვირაში რაიმე განსაკუთრებულს მოიგონებს.

ფეხბურთელების თავიდან ამოვარდება ყველაფერი, რაც კუპერთან და „ინტერთან“ იყო დაკავშირებული. ექტორს ჩემი არგუმენტები მოვახსენე და მანაც გამიგო, თუმცკი მეტად გულდაწყვეტილი დარჩა“.

„პარმამ“ „ინტერს“ უნდა მოუგოს, „რომამ“ კი „კატანიას“ და მხოლოდ ამ შემთხვევაში დარჩება ტომაზო გირარდის კლუბი სერია A-ში.

თუ ასე მოხდა, „კატანია“ გავარდება და „რომა“ ჩემპიონობას იზეიმებს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# საფეხბურთო ლეგენდები

**გიორგი კაკაბაძე**

### ლეგენდა №29
## ჰერბერტ ჩეპმენი



30-იანი წლების დასაწყისისთვის ლონდონის „არსენალი“ ინგლისში და მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი იყო. მას ნიჭიერი მწვრთნელი და ნოვატორი ჰერბერტ ჩეპმენი edგა სათავეში. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ იგი „მეთოფეებს“ თან გადაყვა...

ჩეპმენი მეშახტის თერთმეტშვილიან ოჯახში დაიბადა. მისი ორი ძმა ასევე ფეხბურთელი იყო. ყველაზე წარმატებული უმცროსი ჰარი გახლდათ, რომელმაც „შეფილდ უენსდეისთან“ ერთად ორჯერ მოიგო ჩემპიონატი, ერთხელ კი თასი. ჰერბერტის უფროსი ძმა ტომი „გრიმსბიში“ თამაშობდა. მოგვიანებით, მისი კიდევ ერთი ძმა მეტიუ ამავე კლუბის დირექტორი გახდა.

ჰერბერტ ჩეპმენი ნაკლებად წარმატებული ფეხბურთელი გახლდათ. აი, მწვრთნელი კი შესანიშნავი გამოდგა. გარდა ამისა, სწორედ ეს კაცია ინიციატორი მოედნების პროჟექტორებით განათებისა, გუნდებში ლეგიონერების მოწვევისა და მაისურების დანომვრისა. „არსენალში“ ყოფნისას ჩეპმენმა გამოიგონა და დანერგა სათამაშო სქემა 3-4-3.

ჩეპმენის ხელში „არსენალმა“ ინგლისის ჩემპიონატი ორჯერ, ხოლო თასი კი ერთხელ მოიგო. 1934 წლის 1 იანვრისთვის კი ლონდონელები კვლავ ლიდერობდნენ ეროვნულ ჩემპიონატში.

2 იანვარს ჩეპმენი „არსენალს“ „შეფილდ უენსდეისთან“ შეხვედრაზე დასასწრებად გაჰყვა და გაცივდა, მაგრამ ექიმების რეკომენდაციების საპირისპიროდ, იგი „გილფორდ სიტისთან“ „მეთოფეების“ მესამე გუნდის თამაშზეც გაემგზავრა.

როცა ჩეპმენმა გადაწყვიტა, ექიმებისთვის ყური დაეგდო და გამოწერილი რეჟიმი დაეცვა, უკვე ძალიან გვიანი იყო — გაციება ფილტვების ანთებაში გადაუვიდა და 6 იანვარს ჰერბერტ ჩეპმენი ჰენდონში, საკუთარ სახლში გარდაიცვალა. იგი 55 წლის გახლდათ.

„მეთოფეების“ ქომაგების აბსოლუტურმა უმრავლესობამ ამ ტრაგიკული ამბის შესახებ გაზეთებიდან შეიტყო, როცა „ჰაიბერისკენ“ „შეფილდ უენსდეისთან“ მატჩზე დასასწრებად მიდიოდნენ.

ცხადია, ჰერბერტ ჩეპმენი სამუდამოდ შევიდა, როგორც „არსენალის“, ასევე ზოგადად მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში. იაკობ ეპშტაინის მიერ შექმნილი მისი ბრინჯაოს ბიუსტი „ემირეიტს სტედიუმის“ ტერიტორიაზე დაიდგა (აქამდე ეს ბიუსტი „მეთოფეების“ ძველ სტადიონ „ჰაიბერიზე“ იდგა).

### ლეგენდა №30
## ანგარიში?

მსოფლიოს 1958 წლის ჩემპიონატზე, რომელიც შვედეთში გაიმართა, საბჭოთა კავშირი ინგლისის ნაკრებს ჯგუფური ეტაპის დამატებით მატჩში, მეორე ადგილისთვის გადათამაშებაში შეხვდა. მატჩის ერთ-ერთ ეპიზოდში ლეგენდარული მეკარე ლევ იაშინი ბრიტანელთა თავდამსხმელ დერეკ კევანს თავგანწირვით ჩაუვარდა ფეხებში. კევანმა მას შემთხვევით სახეში ბუცი ჩაარტყა. იაშინი გარკვეული პერიოდი გაუნძრევლად იწვა მინდორზე, მაგრამ მერე წამოდგა და თამაში გააგრძელა.

მატჩის დასრულებამდე იაშინმა რამდენიმე რთული ბურთი მოიგერია, ხოლო შეხვედრის დამთავრების შემდეგ, გასახდელში იკითხა — რა ანგარიშით მორჩა თამაში? საბჭოთა კავშირის ნაკრებმა 1:0 მოიგო.

### ლეგენდა №31
## უკანასკნელი თამაში

1939 წლის 27 აგვისტოს, კერძოდ კვირა დღეს, პოლონეთისა და უნგრეთის ნაკრებთა ამხანაგური შეხვედრა, პოლონეთში დღემდე „უკანასკნელი თამაშის“ სახელითაა ცნობილი.

ეს გახლდათ პოლონელთა ბოლო მატჩი მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე და მაშინ მათ მსოფიოს ერთ-ერთ საუკეთესო ნაკრებს, მსოფლიოს 1938 წლის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორ უნგრეთს 4:2 მოუგეს.

უნგრელებმა მარცხი მალე დაივიწყეს, რადგან ეს მათთვის ერთი ჩვეულებრივი, მორიგი ამხანაგური შეხვედრა გახლდათ. აი, პოლონელთათვის კი ეს გამარჯვება ბევრს ნიშნავდა, იქამდე მათ ასეთი სერიოზული მეტოქისთვის არასოდეს მოეგოთ.

მატჩამდე ოთხი დღით ადრე გერმანიამ და საბჭოთა კავშირმა საიდუმლოდ გააფორმეს ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც დამოუკიდებელი პოლონეთის ევროპის რუკიდან ამოშლა გადაწყვიტეს. ვარშავაში დაძაბული ვითარება გახლდათ, დღე-დღეზე ომს ელოდნენ.

მიუხედავად ამისა, ხალხი ოპტიმიზმს არ კარგავდა და ბოლო წუთებამდე კარგ განწყობას ინარჩუნებდა. თუმცა უნგრეთთან მოგების ბევრს არ ეჯერა, რაზეც მაშინ პოლონეთის ყველაზე დიდი სპორტული გაზეთის „პრჟეგლონდ სპორტოვის“ შაბათის ნომრის პირველ გვერდზე გამოტანილი სათაურიც მეტყველებს — შანსი არ გვაქვს, მაგრამ ბრძოლისთვის მზად ვართ.

იქამდე პოლონეთი ცხრაჯერ შეხვედროდა უნგრეთს, მაგრამ არცერთხელ არ მოეგო...

საინტერესოა, რომ 1939 წლის ზაფხულში პოლონეთის ნაკრებს და მის სამწვრთნელო შტაბს ვარშავაში ცნობილი შოტლანდიელი ალექს ჯეიმსი ეხმარებოდა. სავარაუდოდ, მანაც იგრძნო ომის მოახლოება და ვარშავა მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე დატოვა. მით უმეტეს, რომ პოლონეთის გამარჯვებისა არც ჯეიმსს სჯეროდა. თამაშის წინ მან პოლონელებს სამი დეპეშა გაუგზავნა — დაცვიდან ითამაშეთ და თუ გაგიმართლებთ, ეგებ ფრეს მიაღწიოთო.

ამ გამარჯვებამ პოლონელებს დიდი სიხარული მოუტანა და იმედი ჩაუსახა, რომ პოლიტიკურ ასპარეზზეც ყველაფერი მათ სასიკეთოდ მობრუნდებოდა. სასექტემბროდ დაიგეგმა რამდენიმე ამხანაგური მატჩი — ბულგარეთთან, იუგოსლავიასთან, რუმინეთთან...

სამწუხაროდ, 1 სექტემბერს მეორე მსოფლიო ომი დაიწყო და პოლონელთათვის უნგრეთთან შეხვედრა უკანასკნელი თამაში გამოდგა ომის დამთავრებამდე.

# ნედვედი 2009 იუვე რომასკენაა



**როგორც** იქნა, დასრულდა საგა ტურინის „იუვენტუსისა“ და პაველ ნედვედის კონტრაქტის შესახებ. მხარეებმა 2009 წლის ზაფხულამდე გააფორმეს ახალი შეთანხმება, რაც ნიშნავს, რომ ვეტერანი ჩეხი ნახევარმცველი კარიერას ჯერ არ დაასრულებს.

„გადაწყვეტილება იმ ბრწყინვალე შვიდი წლის გათვალისწინებით მივიღე, რაც კლუბში გავატარე. „იუვესთან“ ბევრი რამ მაკავშირებს და უარი ვერ ვთქვი ცდუნებაზე, კიდევ ერთხელ მეთამაშა ჩემს საყვარელ გუნდთან ერთად ჩემპიონთა ლიგაში“ — განაცხადა ნედვედმა.

ამასობაში, „იუვენტუსის“ მეკარე ჯანლუიჯი ბუფონს „რომას“ თამაში უფრო მოსწონს, ვიდრე „ინტერისა“ და ბოლო ტურში ალბათ დედაქალაქელთა მხარეს იქნება. სხვათა შორის, ასეა ნეიტრალური ქომაგების უმრავლესობაც, რადგან „გლადიატორები“ მართლაც უფრო სანახაობრივ ფეხბურთს აჩვენებენ, ვიდრე „ნერაძური“.

„ვინც უნდა გახდეს ჩემპიონი, ეს სამართლიანი იქნება, რადგან ორივე ბრწყინვალე გუნდია. თუმცა „რომა“ უკეთეს ფეხბურთს თამაშობს. ვერ გეტყვით, რომელ გუნდს ვუქომაგებ, მაგრამ „იუვენტუსის“ ფანებმა თავისი პოზიცია ნათლად გამოხატეს. კვირას, როცა „სიენამ“ „ინტერს“ ანგარიში 2:2 გაუხადა, მათ ეს გოლი ისე იზეიმეს, თითქოს ჩვენ გაგვეტანა“ — აღნიშნა ჯიჯიმ.

იგივე პოზიციაზეა ანიელების ოჯახის შთამომავალი ჯონ ელკანიც, ვინც ახლახან „იუვენტუსის“ მმართველი კომპანია Ifil-ის პრეზიდენტად აირჩიეს.

„მიმდინარე სეზონში „რომასკენ“ ვარ. რაც შეეხება ჩვენს სამომავლო გეგმებს, სატრანსფერო ბაზარზე ჭკვიანურად და პროდუქტიულად მუშაობას ვაპირებთ. ასევე გვინდა სებასტიან ჯოვინკოს შენარჩუნება, ამისთვის ყველაფერს გავაკეთებთ, მასზე დიდ იმედებს ვამყარებთ“ — თქვა ელკანმა.

სხვათა შორის, ბოლო ტურის სხვა მატჩებისგან განსხვავებით, „სამპდორიი“ — „იუვენტუსი“ შაბათს გაიმართება და არა კვირას, რადგან კვირას გენუას რომის პაპი სტუმრობს...

**გიორგი ჭაჭაგაძე**

# აკორი ლაციოში?

**„ლაციოს“** მწვრთნელი, შესაძლოა, ლეონარდო აკორი გახდეს, რომელიც ამჟამად „რიმინის“ თავკაცობს. მას ძალიან გაუხარდა, როცა პრესამ ვალტერ ნოველინოს, ვალტერ მაცარის, ბრუნო ჯორდანოსა და სხვებთან ერთად „ბიანკოჩელესტის“ თავკაცობის კანდიდატად დაასახელა.

შეგახსენებთ, რომ „ლაციომ“ სეზონი ძალიან ცუდად ჩაატარა და დელიო როსის წასვლაზე საკმაო ხანია, საუბრობენ. გავრცელებული ინფორმაციით, რომაელთა პრეზიდენტი კლაუდიო ლოტიტო გუნდში სერიოზულ ცვლილებებს გეგმავს.

ლეონარდო აკორი: „ყოველთვის „მილანის“ ქომაგი ვიყავი, რადგან მიყვარს, როცა გუნდი კარგ ფეხბურთს თამაშობს, მაგრამ მთელი ჩემი ოჯახი „ლაციოს“ გულშემატკივრობს. გავიგე, რომ რომაელთა მწვრთნელობის კანდიდატი მეც ვყოფილვარ, მაგრამ ჯერ არავინ დამკავშირებია. თუ წინადადებას მივიღებ, სიამოვნებით დავთანხმდები. ბევრი შემოთავაზება მაქვს, როგორიც სერია B-ს, ასევე სერია A-ს გუნდებისგან, მაგრამ კონკრეტული ჯერ არაფერია“.

აკორი ექვსი წელია, „რიმინის“ წვრთნის და მან ეს პატარა გუნდი სერია B-ში დაამკვიდრა, მაგრამ „სტადიო რომეო ნერის“ დატოვება აქვს გადაწყვეტილი, რადგან კლუბის ამბიციები მისას ვერ უტოლდება.

„რიმინი“ უნდა დავტოვო, რადგან მიმაჩნია, ამ კლუბისთვის ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო. ძალიან გავბრაზდი, როცა ჟედა გავყიდეთ და ასე შემდეგ. მოკლედ, მზად ვარ სერია A-სთვის და „ლაციო“ ბრწყინვალე ვარიანტი იქნებოდა. რომი ძალიან კარგი, დიდი ქალაქია, ხოლო „სტადიო ოლიმპიკო“ ჩინებული სტადიონი გახლავთ“ — დასძინა აკორიმ.

**ქოქი ქანდელაკი**

# ჰამბურგის მომავალი იოლია



**„ჰამბურგის“** მწვრთნელად 52 წლის ჰოლანდიელი მარტინ იოლი დანიშნეს და ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმეს.

იოლი თანამემამულე ჰუბ სტევენსს შეცვლის, რომელიც მომავალი სეზონიდან პსვ-ს ჩაიბარებს.

მარტინ იოლი შარშან ოქტომბერში გაათავისუფლეს „ტოტენჰემიდან“, სადაც სამი წელი იმუშავა. მისი თანაშემწე ჟელიკო პეტროვიჩი იქნება — „ვალვაიკის“ ყოფილი თავკაცი.

„ჰამბურგი“ შემოდგომიდანვე ეძებდა მწვრთნელს, მას შემდეგ, რაც სტევენსმა სეზონის ბოლოს წასვლის თაობაზე ოფიციალურად განაცხადა. მას ჰოლანდიაში ავადმყოფი მეუღლე ჰყავს და ცოლის გვერდით ყოფნა სურს.

„დარწმუნებული ვარ, რომ სწორი არჩევანი გავაკეთეთ“ — თქვა „ჰამბურგის“ ერთ-ერთმა შეფმა ბერნდ ჰოფმანმა.

მარტინ იოლი ნახევარმცველი იყო და ფეხბურთელობისას „დენ ჰააგში“, „ბაიერნში“, „ტვენტეში“, „ვესტ ბრომვიჩსა“ და „ქოვენთრიში“ უთამაშია.

სამწვრთნელო კარიერა „დენ ჰააგში“ 1991 წელს დაიწყო და გუნდი მესამე დივიზიონიდან უმაღლესში გადაიყვანა.

მერე „როდას“ (1996-98) და „ვალვაიკს“ (1998-2004) თავკაცობდა.

2003 წელს მას „მანჩესტერ იუნაიტედში“ ალექს ფერგიუსონის თანაშემწეობა შესთავაზეს, რასაც არ დათანხმდა და ერთი წლის შემდეგ „ტოტენჰემში“ ჟაკ სანტინის დამხმარე გახდა. სანტინი მალევე გაუშვეს და მარტინ იოლი მთავარი მწვრთნელი გახდა. ორი სეზონის განმავლობაში საქმე კარგად მისდიოდა, მაგრამ გასულ შემოდგომაზე მისმა გუნდმა აურია, ცხრილის ქვედა სამეულში აღმოჩნდა და 25 ოქტომბერს ხუანდე რამოსით შეცვალეს.

**გაგა ხუციშვილი**

# დელ პიერო კმაყოფილია



**„იუვენტუსის“** ვეტერანი კაპიტანი და სიმბოლო ალესანდრო დელ პიერო სერია A-ს საუკეთესო გოლეადორობასთან ძალიან ახლოსაა. მიმდინარე ჩემპიონატში თავისი მე-19 გოლი ალექსმა კვირას „კატანიას“ გაუტანა და ბომბარდირთა დავაში დავიდ ტრეზეგესა და მარკო ბორიელოს გაუთანაბრდა.

ბოლო ტურში „იუვენტუსი“ „სამპდორიას“ სტუმრობს და დელ პიეროს, თანაკლუბელი ტრეზეგეს დარად, თავის გამოჩენის იმედი აქვს. მიმდინარე სეზონში კარგი თამაში მას ეროვნულ ნაკრებში ადგილის დაბრუნებაში ეხმარება და, როგორც ფანების აბსოლუტური უმრავლესობის, ასევე სპეციალისტთა აზრით, რობერტო დონადონიმ დელ პიერო ევრო 2008-ზე უნდა წაიყვანოს.

„გოლის გატანა ადვილი ნამდვილად არ არის — ამბობს „პინტურიკიო“ — მინდორზე მაინცდამაინც ამის გასაკეთებლად არ გადიხარ. მთავარია, გუნდისთვის რაიმე სასარგებლო მოიმოქმედო და საჭირო დროს სწორად მოიქცე. ჩემი დევიზიც სწორედ ესაა, მაგრამ ცხადია, გოლის გატანა დიდი სიამოვნებაა. წავალ თუ არა ევრო 2008-ზე? პირველი ფორვარდი არ ვიქნები, მაგრამ სხვა პოზიციებზეც კარგად შემიძლია თამაში, რაც არაერთხელ მიჩვენებია“.

„იუვენტუსის“ სეზონს უკვე ყველა წარმატებულად აფასებს. კალჩოპოლის სკანდალისა და სერია B-ში გატარებული წლის მერე, „ბებერი ქალბატონისგან“ ამდენს ნაკლებად ელოდნენ და დელ პიეროც კმაყოფილია.

„ხელმძღვანელებს მშვენიერი პროექტი აქვთ. გუნდმა ძველი დიდება უნდა დაიბრუნოს, სხვაგვარად არ შეიძლება. „იუვე“ დიადი ისტორიისა და ტრადიციების კლუბია. მწვერვალზე დასაბრუნებლად ზაფხულში აუცილებლად უნდა გადავახალისოთ შემადგენლობა. რამდენიმე მოთამაშის დამატებაა საჭირო. გასათვალისწინებელია, რომ მომავალ სეზონში ჩვენი კონკურენტები უფრო ძლიერები იქნებიან“ — აღნიშნა მან.

დელ პიეროს აზრი პაველ ნედვედზეც ჰკითხეს, რომელიც სეზონის ბოლოს კარიერის დასრულებას ფიქრობს: „არ შეიძლება, ასეთ ფორმაში მყოფი ბრწყინვალე ფეხბურთელის შესახებ რაიმე ეჭვები ჩნდებოდეს. პაველის შემცვლელი უბრალოდ არ არსებობს და მჯერა, იგი დარჩება“.

**გიორგი ჭაჭაგაძე**

# ფიორენტინას ჯილარდინო უნდა



**იტალიური** „ლა რეპუბლიკას“ ცნობით, დიდი შანსია, ზაფხულში ალბერტო ჯილარდინო „მილანიდან“ „ფიორენტინაში“ გადაბარგდეს. ითქვა, რომ „იებს“ 27 წლის ფეხბურთელი დაახლოებით 16 მილიონი ევრო დაუჯდებათ და მასთან ხუთწლიანი კონტრაქტი გაფორმდება. თუმცა ჯილას ხელფასის გვარიანად შემცირებაზე დათანხმება მოუწევს, რადგან ფლორენციელები მას „როსონერის“ დარად წელიწადში 3,5 მილიონ ევროს ვერ გადაუხდიან.

„ფიორენტინას“ მწვრთნელ ჩეზარე პრანდელის „ჯილასთან“ ერთად „პარმაში“ წარმატებით უმუშავია და ხელში მისი ჩაგდება რა ხანია, უნდა.

ჯილარდინო „მილანს“ ვერაფრით მოერგო და ძირითად შემადგენლობაში დიდი ხანია ველარ ხვდება. მიმდინარე სერია A-ში მას 30 მატჩში მხოლოდ 7 გოლი აქვს გატანილი. კარლო ანჩელოტის ეს ფორვარდი, როგორც წესი, შეხვედრის მიწურულისკენ შეცვლაზე შეჰყავდა ხოლმე მინდორზე.

ამავდროულად, ზაფხულში „ფიორენტინას“ ალბათ ფაბიო ლივერანი დატოვებს. 32 წლის ნახევარმცველს კლუბთან მიმდინარე კონტრაქტი სეზონის ბოლოს ეწურება, ახალ შეთანხმებაზე კი არაფერი ისმის. ლივერანით „ჯენოა“ და „პალერმო“ ყოფილან დაინტერესებული.

**ქოქი ქანდელაკი**

# რონალდო: მხოლოდ ოტელში მივხვდი, რომ გართობას კაცებთან ვაპირებდი...

| 16059 | ატალანტა-ჯენოა | 1.45 | 2.45 |
| 16060 | სპეცია-მანტოვა | 1.34 | 2.80 |
| 16062 | ფროზინონე-მოდენა | 1.80 | 1.80 |
| 16063 | რავენა-პიზა | 1.55 | 2.20 |
| 16064 | აველინო-ტრიესტინა | 1.11 | 5.70 |
| 16065 | კიევო-ვიჩენცა | 1.11 | 5.70 |
| 16066 | რიმინი-ბრეშა | 1.30 | 3.00 |
| 16067 | ასკოლი-ალბინოლეფე | 2.05 | 1.62 |
| 16068 | ლეჩე-ბარი | 1.14 | 4.70 |
| 16069 | ტრევიზო-ჩეზენა | 1.23 | 3.60 |
| 16070 | პიაჩენცა-გროსეტო | 1.55 | 2.20 |
| 16100 | უელვა-ვალიადოლიდი | 1.45 | 2.45 |
| 16101 | ესპანიოლი-ალმერია | 1.50 | 2.30 |
| 16102 | დეპორტივო-ვილიარეალი | 1.62 | 2.05 |
| 16103 | ვალენსია-ატლეტიკო | 1.82 | 1.82 |
| 16107 | მალიორკა-სარაგოსა | 1.55 | 2.20 |
| 16108 | მურსია-ბარსელონა | 3.60 | 1.23 |
| 16110 | რასინგი-ოსასუნა | 1.58 | 2.10 |
| 16111 | სევილია-ბილბაო | 1.12 | 4.60 |
| 16112 | ხეტაფე-ბეტისი | 1.34 | 2.80 |
| 16124 | მეცი-ლე მანი | 2.30 | 1.48 |
| 16126 | ლორიანი-ლილი | 1.95 | 1.65 |
| 16127 | ოსერი-ლიონი | 5.70 | 1.11 |
| 16129 | სტ.ეტიენი-მონაკო | 1.24 | 3.60 |
| 16131 | სოშო-პსჟ | 2.90 | 1.32 |
| 16134 | ტულუზი-ვალენსიენი | 1.11 | 5.70 |
| 16135 | ლანსი-ბორდო | 2.05 | 1.65 |
| 16136 | ნიცა-კაენი | 1.38 | 2.65 |
| 16192 | ნორდსიელანდი-ლიუნგბიუ | 1.12 | 4.60 |
| 16193 | მიდტიულანდი-ოდენსე | 1.55 | 2.20 |
| 16194 | რანდერსი-ჰორსენსი | 1.45 | 2.45 |
| 16195 | ესბიერგი-ორჰუსი | 1.22 | 3.40 |
| 16197 | ოლბორგი-ბრიონდბიუ | 1.22 | 3.40 |
| 16220 | ბოდიო გლიმტი-ტრომსიო | 1.82 | 1.82 |
| 16221 | ჰამ კამი-სტრიომსგოდსეტი | 1.55 | 2.20 |
| 16222 | ბრანი-ვოლერენგა | 1.45 | 2.45 |
| 16223 | ლინი-სტაბეკი | 1.95 | 1.65 |
| 16224 | ფრედრიკსტადი-ალესუნდი | 1.24 | 3.60 |
| 16225 | მოლდე-ვიკინგი | 1.82 | 1.82 |
| 16226 | რუსენბორგი-ლილესტრიომი | 1.32 | 3.00 |
| 16341 | პორთსმუთი-კარდიფი ნ | 1.22 | 3.40 |
| 16363 | ვალვაიკი-დენ ჰააგი | 1.23 | 3.60 |
| 16364 | გრააფსხაპი-ზვოლე | 1.17 | 4.10 |
| 16419 | ნაიმეგენი-ბრედა | 1.25 | 3.40 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | ლევერკუზენი-ვერდერი | 1.85 | 1.95 |
| 14002 | ბაიერნი-ჰერტა | 1.20 | 2.60 |
| 14004 | შტუტგარტი-არმინია | 1.30 | 2.50 |
| 14005 | ჰანოვერი-კოტბუსი | 1.45 | 2.40 |
| 14006 | დორტმუნდი-ვოლფსბურგი | 2.20 | 1.70 |
| 14009 | ბოხუმი-ჰანზა | 1.30 | 2.50 |
| 14010 | აინტრახტი-დუისბურგი | 1.30 | 2.50 |
| 14011 | ნიურნბერგი-შალკე | 1.85 | 1.95 |
| 14046 | პარმა-ინტერი | 2.50 | 1.30 |
| 14048 | სამპდორია-იუვენტუსი | 1.85 | 1.95 |
| 14051 | ლაციო-ნაპოლი | 1.80 | 2.00 |
| 14052 | სიენა-პალერმო | 1.80 | 2.00 |
| 14053 | კალიარი-რეჯინა | 1.75 | 2.10 |
| 14054 | კატანია-რომა | 2.40 | 1.45 |
| 14057 | ტორინო-ფიორენტინა | 2.60 | 1.20 |
| 14059 | ატალანტა-ჯენოა | 1.75 | 2.10 |
| 14060 | სპეცია-მანტოვა | 1.70 | 2.20 |
| 14062 | ფროზინონე-მოდენა | 1.90 | 1.90 |
| 14063 | რავენა-პიზა | 1.80 | 2.00 |
| 14064 | აველინო-ტრიესტინა | 1.20 | 2.60 |
| 14065 | კიევო-ვიჩენცა | 1.20 | 2.60 |
| 14066 | რიმინი-ბრეშა | 1.65 | 2.30 |
| 14067 | ასკოლი-ალბინოლეფე | 2.00 | 1.80 |
| 14068 | ლეჩე-ბარი | 1.30 | 2.50 |
| 14069 | ტრევიზო-ჩეზენა | 1.45 | 2.40 |
| 14070 | პიაჩენცა-გროსეტო | 1.80 | 2.00 |
| 14100 | უელვა-ვალიადოლიდი | 1.75 | 2.10 |
| 14101 | ესპანიოლი-ალმერია | 1.75 | 2.10 |
| 14102 | დეპორტივო-ვილიარეალი | 1.80 | 2.00 |
| 14103 | ვალენსია-ატლეტიკო | 1.95 | 1.85 |
| 14107 | მალიორკა-სარაგოსა | 1.80 | 2.00 |
| 14108 | მურსია-ბარსელონა | 2.50 | 1.30 |
| 14110 | რასინგი-ოსასუნა | 1.80 | 2.00 |
| 14111 | სევილია-ბილბაო | 1.20 | 2.60 |
| 14112 | ხეტაფე-ბეტისი | 1.70 | 2.20 |
| 14124 | მეცი-ლე მანი | 2.10 | 1.75 |
| 14126 | ლორიანი-ლილი | 2.00 | 1.80 |
| 14127 | ოსერი-ლიონი | 2.60 | 1.20 |
| 14129 | სტ.ეტიენი-მონაკო | 1.45 | 2.40 |
| 14131 | სოშო-პსჟ | 2.30 | 1.65 |
| 14134 | ტულუზი-ვალენსიენი | 1.20 | 2.60 |
| 14135 | ლანსი-ბორდო | 2.00 | 1.80 |
| 14136 | ნიცა-კაენი | 1.70 | 2.20 |
| 14192 | ნორდსიელანდი-ლიუნგბიუ | 1.20 | 2.60 |
| 14193 | მიდტიულანდი-ოდენსე | 1.80 | 2.00 |
| 14194 | რანდერსი-ჰორსენსი | 1.75 | 2.10 |
| 14195 | ესბიერგი-ორჰუსი | 1.30 | 2.50 |
| 14197 | ოლბორგი-ბრიონდბიუ | 1.30 | 2.50 |
| 14220 | ბოდიო გლიმტი-ტრომსიო | 1.95 | 1.85 |
| 14221 | ჰამ კამი-სტრიომსგოდსეტი | 1.80 | 2.00 |
| 14222 | ბრანი-ვოლერენგა | 1.75 | 2.10 |
| 14223 | ლინი-სტაბეკი | 2.00 | 1.80 |
| 14224 | ფრედრიკსტადი-ალესუნდი | 1.45 | 2.40 |
| 14225 | მოლდე-ვიკინგი | 1.90 | 1.90 |
| 14226 | რუსენბორგი-ლილესტრიომი | 1.65 | 2.30 |
| 14341 | პორთსმუთი-კარდიფი ნ | 1.30 | 2.50 |
| 14363 | ვალვაიკი-დენ ჰააგი | 1.45 | 2.40 |
| 14364 | გრააფსხაპი-ზვოლე | 1.30 | 2.50 |
| 14419 | ნაიმეგენი-ბრედა | 1.45 | 2.40 |

# ცინცაძემ ფინალი მოგებით დაიწყო



გიორგი ცინცაძე ტალინელ მცველებს გაურბის

**გიორგი ცინცაძე** ესტონეთის ჩემპიონობის გზას წარმატებით დაადგა. მისი „როკი“ მოქმედი ჩემპიონია და შარშანდელის დარად, ტიტულის შესანარჩუნებლად ბრძოლა ახლაც ტალინის „კალევთან“ უწევს. გუშინწინ ფინალური სერიის პირველი მატჩი გაიმართა, რომელიც „როკერთა“ იოლი გამარჯვებით დასრულდა — 94:68.

რეგულარულ ჩემპიონატში ამ გუნდებს შორის დიდი ბრძოლა მიდიოდა პირველობისთვის. ყველამ კარგად იცოდა, რომ ფინალში ისევ „კალევი“ და „როკი“ შეხვდებოდნენ, ამიტომაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ რომელს ერგებოდა საკუთარი მოედნის უპირატესობა. დასაწყისში „კალევი“ დაწინაურდა და მთელი სეზონი ინარჩუნებდა პირველობას. „როკი“ დედაქალაქელებს კუდზე აჯდა და ბოლო ტურში მოახერხა გადასწრება — ბედმა და კალენდარმა ეს გუნდები სწორედ ბოლო ტურში შეახვედრა ერთმანეთს და ის მატჩი ქართველი გამთამაშებლის უბადლო გარჯის წყალობით „როკერებმა“ მოიგეს.

მართალია, ფინალური სერია საკმაოდ გაწელილია და ის 4 მოგებამდე გრძელდება, მაგრამ მოედნის უპირატესობას რომ დიდი ძალა აქვს, პირველმა მატჩმაც ცხადყო. „როკერებმა“ საკუთარ კედლებში ისე იოლად დაჯაბნეს ტალინელები, რომ შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ისინი შინ სერიის ყველა თამაშში იოლად იმარჯვებენ.

ქართველ გამთამაშებელს ამჯერად არავინ გაუოცებია თავისი შედეგიანობით, თუმცა ურიგოდ ითამაშაო, ვერავინ იტყვის. მან ყველაზე მეტი, 35 წუთი დაყო მოედანზე და 9 ქულას 2 მოხსნა, 3 პასი და 1 დაფარებაც მიაბა. როკერთაგან ბომბარდირი ცინცაძის თანამპლუელი სილვერ ლეპიკი გახდა, რომელმაც ხუთიდან ყველა სამქულიანი ჩაუკალათა დედაქალაქელებს და საბოლოოდ 21 ქულა მოიხვეჭა.

მომდევნო მატჩს „როკერები“ კვლავ შინ, ტარტუს დარბაზში, დღეს ჩაატარებენ და ეცდებიან, ტალინში გამგზავრებამდე სერიაში 2:0 დაწინაურდნენ.

დანარჩენი ლეგიონერებიდან კი მხოლოდ მანუჩარ მარკოიშვილია საქმეში. მისი „ბკ კიევიც“ ფინალშია და მარიუპოლის „აზოვმაშთან“ საომრად ემზადება. საჩემპიონო სერია უკრაინაში 17 მაისს იწყება და მოედნის უპირატესობა აქაც ქართველი მოთამაშის გუნდისაა.

ბოლოს ვლადიმერ ბოისას „არისზეც“ ვთქვათ, რომელმაც საბერძნეთის რეგულარული ჩემპიონატი მძლავრად ჩაატარა, „პანათინაიკოსისა“ და „ოლიმპიაკოსის“ ზურგსუკან მესამე ადგილი დაიკავა, მაგრამ პლეი ოფის პირველივე წრეში მერვეადგილოსან „მარუსისთან“ დამარცხდა და სეზონიც სავარაუდოზე ადრე დაასრულა.

**ირაკლი პერტაია**

# ლევან მოსეშვილი დიადემება მოწამლეს

დღეს ლევან მოსეშვილის „ავიამშენს“ ეროვნული ჩემპიონატის ნახევარფინალური სერიის გადამწყვეტი მატჩი ელის თსუ-სთან და მთლიანად ამ შეხვედრაზეა ორიენტირებული. ამის მიუხედავად, უინტერესო ნამდვილად არ იქნება ქართული კალათბურთის ამ ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის წარსული ამბების გახსენება. მასთან ეს ინტერვიუ კალათბურთის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა და მასში ბატონი ლევანი თანამედროვე კალათბურთელებზეც საუბრობს...



**— კალათბურთი რატომ არჩიეთ?**

— ვერაზე, კალანდაძის 8 ნომერში ვცხოვრობდი და იქვე, ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზიდან ყოველთვის ხმაური მესმოდა, რაც მუდამ მიზიდავდა. დავესწარი ერთ-ერთ მატჩს, მერე კი ვნახე ისეთი ადამიანები, რომლებმაც ქართული კალათბურთის ისტორიაში უდიდესი კვალი დატოვეს. ვხედავდი, თუ რა სასწაულებს ახდენდნენ ქორქია, ჯორჯიკია, ჟღენტი, კილაძე და მათი შემხედვარე, კალათბურთით „მოვიწამლე“.

თავიდან შალვა დიასამიძის ჯგუფში შევედი, ვარჯიშები კი ვერის ბაღში გვქონდა. ასე რომ, 1953 წლიდან, მე და ბურთი განუყრელ მეგობრებად ვიქეცით.

**— თქვენს გარდა, დიასამიძესთან თუ ვარჯიშობდა ვინმე ისეთი, რომელმაც შემდგომში სახელი გაითქვა?**

— შალვა დიასამიძეს შეხება ყველასთან ჰქონდა, ერთი პერიოდი „დინამოშიც“ კი იყო მიწვეული და თავისი მოღვაწეობისას ბევრ ცნობილ მოთამაშესთან უმუშავია. იგი ერთდროულად 5 ასაკობრივ ჯგუფს ავარჯიშებდა და ყველასგან დაფასებული პიროვნება იყო.

**— 1959 წელს თბილისის „დინამოში“ მიხვედით.**

— დიახ, და ეს ჩემს კარიერაში განსაკუთრებული მოვლენა გახლდათ. იმ დროს „დინამოს“ სათავეში გიორგი ავალიშვილი ედგა და გუნდი ევროთასების ხშირი მონაწილე გახლდათ. „დინამო“ ნებისმიერი მოთამაშისთვის საოცნებო გუნდი იყო და გამონაკლისი არც მე გახლდით. „ბურევესტნიკიდან“ მე, ანზორ ლეჟავა და კიდევ რამდენიმე მოთამაშე აგვიყვანეს. მერე და მერე, გუნდში მოვიდნენ ალთაბაევი, კაზანჯიანი, სხვებიც და გუნდი ევროპაში ერთ-ერთ უძლიერესადაც იქცა. „დინამომ“ ბევრი ტიტული მოიგო, მაგრამ მაინც მგონია, რომ თავისი პოტენციალი ბოლომდე ვერ გამოავლინა.

**— „დინამოში“ თქვენი პირველი მატჩი ხომ არ გახსოვთ?**

— თუ არ ვცდები, მოსკოვის „დინამოს“ წინააღმდეგ ვითამაშე და ის მატჩი 29 ქულით დავასრულე. მაშინ, მოხსნებსა და დაფარებებს არ ითვლიდნენ, არ არსებობდა სამქულიანი ხაზი, სულ სხვა კალათბურთი იყო. არ ვამბობ, რომ ქულების დაგროვება უფრო იოლი იქნებოდა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ მხრივ მაშინაც მაგრად უნდა მოგენდომებინა.

**— თუ არ ვცდები, თითქმის ყველა ამპლუის შეთავსება გიწევდათ...**

— ერთი გამთამაშებლად არ მითამაშია, თორემ ერთსა და იმავე სეზონში ხან ოთხ ნომრად ვიდექი, ხან მსუბუქ ფორვარდად მათამაშებდნენ, ზოგ შეხვედრებში ცენტრობაც დამაკისრეს და მსროლელადაც არცთუ იშვიათად მითამაშია.

**— თავს ყველაზე კომფორტულად სად გრძნობდით?**

— 4 ნომერზე. ამ ამპლუაში ჩემთვის ერთ ტაიმში თუნდაც 20 ქულის დაგროვება პრობლემას არ წარმოადგენდა.

**— პირადი რეკორდი რამდენი ქულაა?**

— 36-42 ქულამდე ხშირად ვაგროვებდი, მაგრამ 50 და მეტი ქულა არასოდეს გამიკეთებია. ყოველთვის ვცდილობდი, გუნდზე მეთამაშა და ისეც არ ყოფილა, რომ გუნდი მთლიანად ჩემზე გადმორთულიყო. შედეგი გუნდურ სულისკვეთებას მოჰქონდა, მე კი გუნდური მოთამაშე ვიყავი.

**— ბატონო ლევან, ყველა დროის საუკეთესო ქართულ ხუთეულს ხომ ვერ დაგვისახელებდით?**

— სიმართლე გითხრათ, მიჭირს ხუთეულის დასახელება, რადგან ყველა თაობას ჰყავდა გამორჩეული მოთამაშეები, ვარსკვლავები, ვის სანახავადაც ხალხი დარბაზებს ავსებდა.

ჩემი აზრით, ყველა დროის საუკეთესო ცენტრი, მაინც ზაზა ფაჩულია გახლავთ, რომელმაც მარტომ, ვინმეს დახმარების გარეშე გაკვლია გზა მწვერვალისკენ. სხვა ძლიერი ცენტრებიც გვყოლია, მაგრამ ფაჩულია მაინც საუკეთესოა.

მეოთხე ნომერზე კი დავაყენებდი გიორგი შერმადინს, რომელიც თავისი სიმაღლის მოთამაშისთვის ძალიან სწრაფი და მობილურია. შერმადინსა და ფაჩულიას დღევანდელ საქართველოს ნაკრებში საკმაოდ სახიფათო ტანდემის შექმნა შეუძლიათ.

სამ ნომერზე, ულაპარაკოდ, ვლადიმერ უგრეხელიძეს მივანიჭებდი უპირატესობას, სათადარიგოებში კი ვლადიმერ ბოისას ვიყოლიებდი. ბოისა ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო დამცველია და ერთი-ერთზე ნებისმიერის აყვანა შეუძლია. ორ ნომერზეც დიდი კონკურენციაა, თუმცა, როდესაც ქართულ კალათბურთს ვიხსენებთ, თვალწინ ყოველთვის მიხეილ ქორქია გვიდგას და უძლიერეს ორ ნომრადაც მიშიკოს დავაყენებდი. ქორქიას შემდეგ ალბათ, მაინც, მანუჩარ მარკოიშვილი მეყოლებოდა.

მგონი, საკმაოდ სოლიდური ნაკრები გამოდის, არა?

რაც შეეხება გამთამაშებლებს, მიმაჩნია, რომ ჩვენი, ანუ ძველი თაობის წარმომადგენლებიდან დღევანდელ კალათბურთში ბევრი ფიზიკურად დაიჩაგრებოდა, რის გამოც ჩემს იდეალურ ნაკრებში პირველ ნომრად გიორგი გამყრელიძე ან კოტე ტულუში მეყოლებოდა.

**— კალათბურთით არ დაიღალეთ?**

— ვიღლები მხოლოდ მაშინ, როდესაც სეზონი დასრულებულია და არაფერს ვაკეთებ. ჩემთვის კალათბურთი ცხოვრების შემადგენელი ნაწილია და ვერ წარმომიდგენია, რა უნდა მექნა, ჩემს ცხოვრებაში კალათბურთი რომ არ ყოფილიყო.

**— რაც „თბილავიამშენში“ მუშაობთ, ყოველი სეზონის წინ თითქმის მთლიანად სახეშეცვლილი გუნდით გიწევთ მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა. არ გიჭირთ?**

— რა თქმა უნდა, რთულია, როდესაც სეზონის დაწყებამდე თუნდაც ორი თვით ადრე, ბოლომდე არ ხარ ჩამოყალიბებული და არ იცი, ვინ გეყოლება გუნდში. ისე, ჩემი ნება რომ იყოს, „თბილავიამშენის“ დღევანდელ შემადგენლობას სრულად შევინარჩუნებდი და მომავალი სეზონისთვის ერთ უკანახაზელსა და ერთსაც, სამ ნომერს დავიმატებდი. სხვა მხრივ, პრობლემა არ უნდა იყოს.

NBA პლეი ოფი. მეორე წრე

# ჩემპიონი თამაშგარეში ჩარჩა?


დევიდ ვესტი „სან ანტონიოს“ ფარქვეშ მაგრად დატრიალდა

„ნიუ ორლეანს“ ერთთავად კრის პოლის გუნდს ეძახიან და რეალურად ეს 23 წლის ჯეელია მისი გული, სული, გონება, მუხტი, ხელები, ძრავა და რა ვიცი, ყველაფერი. მაგრამ მას შემდეგ, რაც სხვა ნიუორლეანელმა „სან ანტონიოს“ დამართა, ძნელია ამ გუნდს ერთი კაცისა უწოდო.

წლევანდელი ოლ სტარისთვის ვარსკვლავებს რომ კრებდნენ და დასავლეთის გუნდში დევიდ ვესტს დაუძახეს, ხალხმა ეს ასე აღიქვა: ოლ სტარი ნიუ ორლეანშია და პოლთან ერთად ბარემ კიდევ ერთმა მისიანმა ითამაშოს საკუთარ ქალაქშიო. ვესტს აჩუქეს ვარსკვლავის სტატუსი და ადგილი მათ შორის. მაგრამ ახლა მას ვერავინ წამოაყვედრებს ვერაფერს. ვესტმა თვით ტიმ დანკანთან დუელში დაამტკიცა თავისი ვარსკვლავობა. წინა ოთხ თამაშში ის საშუალოდ 18 ქულას და 9 მოხსნას აკეთებდა დანკანის 15 ქულისა და 10 მოხსნის საპირწონედ, სერიის მეხუთე და ძალზე ბევრის გადამწყვეტ შეხვედრაში კი 38 ქულა ჩააგდო, სხვაც ბევრი აკეთა სასარგებლო და პირწმინდად დაჩაგრა ოთხგზის ჩემპიონთა ლიდერი, ვინაც ქულების კეთებაში რომ ჩაფლავდა, მოხსნებზე გადაერთო და 23 გააკეთა, მაგრამ ამითაც ვერაფერი შეცვალა — მისი გუნდი 22 ქულით განადგურდა. ჩემპიონებს ისღა დარჩენიათ, ეს მწარე მარცხი რაც შეიძლება მალე მოინელონ და ორ დღეში შინ მხოლოდ გამარჯვებისთვის გავიდნენ მოედანზე, თორემ თამაშგარეთ დარჩებიან.

წაგებული თამაშის შემდეგ სანანტონიოელებს იარას ეს აბა როგორ მოუშუშებს, მაგრამ ჟურნალისტებმა მაინც შენიშნეს, რომ დამარცხებულთა ვეტერანმა სათადარიგო ფორვარდმა რობერტ ჰორიმ პლეი ოფში თავისი 238-ე თამაში ჩაატარა და გადაუსწრო რეკორდსმენ ქარიმ აბდულ-ჯაბარს. ჰორი 16 წელია ნბა-შია და არასდროს გამოუტოვებია პლეი ოფი. აკი, 7-გზის ჩემპიონიც გახლავთ.

**ივანე ძოწიაშვილი**

13 მაისი

## აღმოსავლეთი

**დეტროიტი 4:1 ორლანდო**

**დეტროიტი 91:86 ორლანდო**

**დეტროიტი:** ჰამილტონი (31), მაკდაიესი (17 ქულა, 11 მოხსნა), სტაკი (15), ვოლესი (14), პრინსი (10)

**ორლანდო:** თურქოღლუ (18 ქულა, 9 მოხსნა, 7 პასი), ჰოვარდი (14 ქულა, 17 მოხსნა), ნელსონი (14), ლუისი (14), ევანსი (11), ბოგანსი (11)

ამერიკელმა ჟურნალისტებმა დუაიტ ჰოვარდი ნბა-ს უძლიერეს ცენტრად კი შერაცხეს და ზოგადად მისი გუნდიც არაა ურიგო, მაგრამ „ორლანდო“ ჯერ მაინც მოუმწიფებელია რომაა პლეი ოფის ჯახებისთვის, ეს მკაფიოდ გამოჩნდა „დეტროიტთან“ სერიაში.

დეტროიტელებმა ჰოვარდი ქულების კეთებაში გვარიანად შეზღუდეს. მთლიანობაში მათ გაცილებით უკეთ ითამაშეს დაცვაში, ვიდრე პირველ წრეში „ფილადელფიასთან“ და აკი ასე მალე მოიმთავრეს საქმე. ეს გუნდი ზედიზედ ხუთი წელია აღმოსავლეთის ფინალში გადის და „ორლანდომ“ მას ხელი ოდნავადაც ვერ შეუშალა იქ მეექვსედ გასვლაში.

„დეტროიტს“ მესამე თამაშის შემდეგ აკლდა ლიდერი ჩონსი ბილაფსი, ვისი საშუალო ლირებულებაც 17,5 ქულა და 6,5 პასია, მაგრამ მწვრთნელმა ფლიპ სანდერსმა ისე გადააწყო თავისი გუნდი, რომ ვეტერანი გამთამაშებლის ადგილზე ახალბედა როდნი სტაკის თამაშითაც არაფერი წახდა. ამ ყმაწვილს გარდა იმის, რომ ბურთი იოლად გადაჰქონდა მეტოქის ნახევარზე, იქითაც რიგიანად გამოსდიოდა შეტევათა ორგანიზება და 15 ქულას 6 პასიც მიაბა. საუკეთესოდ გაისარჯა „დეტროიტის“ ჩუბინი მსროლელი რიპ ჰამილტონი, ვინც ზედიზედ მეორედ ასცდა 30 ქულიან ზღვარს. მთავარი კი მაინც ისაა, რომ სადღაც გაქრა „ფილადელფიასთან“ სერიაში თავწამოყოფილი უდარდელობა. დეტროიტელები უკიდურესად ყურადღებიანად ბურთაობდნენ და „ორლანდოსთან“ უკანასკნელ შეხვედრაში სულ 3-ჯერ დაკარგეს ბურთი, რაც ნბა-ს პლეი ოფების ყველა დროის რეკორდია.

## დასავლეთი

**ნიუ ორლეანი 3:2 სან ანტონიო**

**ნიუ ორლეანი 101:79 სან ანტონიო**

**ნიუ ორლეანი:** ვესტი (38 ქულა, 14 მოხსნა, 5 პასი, 5 დაფარება), პოლი (22 ქულა, 14 პასი), პიტერსონი (11)

**სან ანტონიო:** ჯინობილი (20), პარკერი (18), დანკანი (10 ქულა, 23 მოხსნა), ბოუენი (10)


რობერტ ჰორი

# ჰორფორდი დურანტის გვერდით

**სამშაბათს** ნბა-მ თავისი უკანასკნელი ლაურეატები დაასახელა, შეკრა ახალბედათა ორი სიმბოლური გუნდი. პირველწლიან მოთამაშეთა პირველი გუნდის მშვენებაა სეზონის უდავოდ და გაუსაჩივრებლად საუკეთესო ახალბედა კევინ დურანტი, რომელიც პირველივე თამაშიდან იქცა „სიეტლ სუპერსონიქსის“ ლიდერად. ასევე თვალსაჩინო ადგილი უჭირავს „ატლანტა ჰოქსის“ ფორვარდ-ცენტრ ალ ჰორფორდსაც, ვინაც „ქორების“ სასტარტო ხუთეულიდან ჩვენებური ზაზა ფაჩულია ამოაგდო, მაგრამ რა გვეთქმის, ნიჭიერი ჯეელია და თავისი ძალა არა მხოლოდ რეგულარულ ჩემპიონატში, არამედ პლეი ოფში, მრისხანე „ბოსტონთანაც“ დაამტკიცა, ვის წინააღმდეგაც საშუალოდ 12,4 ქულას, 10,5 მოხსნას, 3,5 პასსა და 1 დაფარებას იხვეჭდა.

**პირველი ხუთეული**

ჯეფ გრინი (სიეტლი)
კევინ დურანტი (სიეტლი)
ალ ტორნტონი (კლიპერსი)
ლუის სკოლა (ჰიუსტონი)
ალ ჰორფორდი (ატლანტა)

**მეორე ხუთეული**

როდნი სტაკი (დეტროიტი)
ხუან-კარლოს ნავარო (მემფისი)
ჯამარიო მუნი (ტორონტო)
ტადეუს იანგი (ფილადელფია)
კარლ ლენდრი (ჰიუსტონი)

სუმო



# კოკაის ცუდი მაისი

## ტოჩინოშინის პირველი მარცხი

**ლევან** ცაგურიამ მაისის ბაშოს მეოთხე ორთაბრძოლაც წააგო. კოკაიდ წოდებულმა ქართველმა ფალავანმა დასავლეთის ოძეკი კოტოოსიუსთან დათმო შეხვედრა. კოტოოსიუმ ჩვენებური ხელების მძლავრი დარტყმებით გაიყვანა დოჰიოდან. ახლა ცაგურიას ოთხიდან ოთხი წაგება აქვს. მისთვის მაისის ბაშოს ასეთი დასაწყისი შეიძლება ფატალურადაც ჩაითვალოს. არადა, მარტის ბაშოზე კოკაის ჩემპიონობამდე სულ მცირედი დააკლდა.

სამწუხაროდ, გუშინ ვერც ლევან გორგაძემ მოიგო თავისი შეხვედრა ტამანოსიმასთან. ტოჩინოშინად წოდებული გორგაძე მაკუჩი დივიზიონში მე-14 მაეგაშირას სტატუსით გამოდის. იგი ამ ელიტარული დივიზიონის დებიუტანტია და საწყისი სამი შეხვედრიდან სამივე მოგებული ჰქონდა. ტამანოსიმა კი დასავლეთის მე-13 მაეგაშირაა. მან ქართველი სუმოისტი ოსიტაოსით დაამარცხა.

დიდმა ჩემპიონმა ასასიორიუმ კოტენაგეთი მოუგო დასავლეთის მეორე მაეგაშირა ვაკანოჰოს, ხოლო მაისის ტურნირზე დაუმარცხებელმა იოკოძუნა ჰაკუხომ აღმოსავლეთის მეორე მაეგაშირა კეკუტენხო დასცა უვატენაგეთი. ჯერჯერობით ოთხიდან ოთხი გამარჯვება ჰაკუხოს, დასავლეთის ოძეკი კოტოოსიუს და დასავლეთის მეხუთე მაეგაშირა ტოიონოშიმას ანგარიშზეა. სამმოგებიანთა მარაქაში კი ქართველი ტოჩინოშინიც არის გარეული. შემდეგ ორთაბრძოლაში კოკაი ოძეკი კაიოს შეხვდება, ტოჩინოშინი კი დასავლეთის მე-10 მაეგაშირა ვაკანოსატოს.

**ზურაბ მიგრიაული**

სროლა

# ქართველები გერმანიაში ლიცენზიას ესვრიან

**15-22 მაისს** გერმანიაში მსოფლიოს თასის გათამაშება ჩატარდება, სადაც საქართველოს მსროლელთა ნაკრებიც იასპარეზებს. ქართველ ჩუბინთა საგერმანიო მარაქაში ნინო უჩაძესთან, თამილა ასათიანთან და ლევან ქადაგიძესთან ერთად პეკინის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიის მქონე ოლიმპიური ჩემპიონი ნინო სალუქვაძეც ირიცხება. აღსანიშნავია, რომ სალუქვაძის გარდა ნაკრების არც ერთ წევრს არ აქვს ოლიმპიადის საგზური და სწორედ ამ და შემდეგ იტალიაში გასამართ მსოფლიოს თასზე ეცდებიან ისინი ლიცენზიების მოპოვებას. ქართველი მსროლელები თბილისში 30 მაისს დაბრუნდებიან.

**ზურაბ მიგრიაული**

მშვილდოსნობა

# სრულ კომპლექტს დიასამიძე აკლია

**საფრანგეთში**, მშვილდოსანთა ევროპის ჩემპიონატზე ქართველებმა საკვალიფიკაციო ეტაპი წარმატებით დაძლიეს. ძირითად ტურნირს სამივე ჩვენებურმა — ხათუნა ნარიმანიძემ, ასმათ დიასამიძემ და ქრისტინე ესებუამ — უწია. შესარჩევში ნარიმანიძემ პირველ სესიაში 317 ქულა მოაგროვა, ხოლო მეორეში — 324. საერთო ჯამში ნარიმანიძე 641 ქულით მეათე ადგილზე გავიდა.

ასმათ დიასამიძემ 635 ქულით მე-16 ადგილი დაიკავა. მან პირველ-მეორე სესიებზე, შესაბამისად, 305 და 330 ქულის აღება შეძლო.

ქრისტინე ესებუა კი მე-40 პოზიციაზე იყო. მის ანგარიშზე 610 ქულაა (310+300). 1/32 ფინალში ნარიმანიძე 55-ე ადგილზე გასულ შვედ ელინ კატსტრიომს ხვდება, დიასამიძე ბელორუს ჟანა სვისტუნ (49-ე ადგილი) დაუპირისპირდება, ხოლო ესებუა გერმანელ ანია ჰიცლერს (25-ე ადგილი) გაეჯიბრება.

გეტყვით, რომ ჩვენებს, ასმათ დიასამიძის გარდა, პეკინის საგზურები ჯიბეში აქვთ. ევროპის ჩემპიონატი კი ოლიმპიადის ლიცენზიების გამცემი უკანასკნელი ტურნირია. დიასამიძის წარმატების შემთხვევაში, ქართველები ჩინეთში სრული შემადგენლობით გაემგზავრებიან.

**ზურაბ მიგრიაული**



გაბრიელ კოთოლაშვილის ფოტო

# მადლობა პრაიმ ფიტნესს

**ორთაჭალის** ჩოგბურთის კორტებზე, საჩოგბურთო კლუბ „პრაიმ ფიტნესის" ორგანიზებით ტურნირი ჩატარდა, რომელშიც 190-მა ახალგაზრდა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. აქედან 105 გოგონა და 85 ბიჭი იყო. ტურნირი ერთ კვირას გაგრძელდა იმის გამო, რომ წვიმიანმა ამინდებმა ჩოგბურთელებს თამაშის საშუალება არ მისცა. მაღალ დონეზე ორგანიზებული ტურნირი საკმაოდ დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა და გუშინ ჩემპიონების გამოვლენით დასრულდა.

ეს ტურნირი „პრაიმ ფიტნესისთვის" პირველი იყო. მათ მომავალში უფრო დიდი გეგმები აქვთ. ჩემპიონ-პრიზიორები გუშინვე დააჯილდოვეს. ჩოგბურთელებმა უამრავი პრიზი მიიღეს. მათ შორის იყო ერთკვირიანი საგზური თურქეთში, „აი პოტი", მობილურები, მოოქროვილი „ვეფხისტყაოსანი" და სხვა.

დამსწრე საზოგადოებას ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა *ლეილა მესხმაც* მიმართა: „ყველა ჩოგბურთელს ვულოცავ ტურნირში გამარჯვებას. ფედერაციამ სერიოზული პარტნიორი შეიძინა „პრაიმ ფიტნესის" სახით. მართლაც ფანტასტიკური ტურნირი გამოვიდა. თამამად შეგვიძლია, რომ აქ დიდი ტურნირებიც ჩავატაროთ. მადლობა „პრაიმ ფიტნესს" და სპონსორებს".

**ლექსო მაისურაძე**

## ტურნირის პრიზიორები

### გოგონები

1998 და უმცროსები: ქრისტინე გეგეშიძე, ქეთევან ჟღენტი, ელენე ყარანგოზიშვილი

1996-97: ირინა ფარანგოზიშვილი, ლიზი ნადიბაიძე, მარუსა მითაიშვილი

1994-95: ბაბილინა მაჩაიძე, ქეთევან მებუკე, თამარ ჭალაგანიძე

1992-93: თამარ კომახიძე, სალომე კვიტაშვილი, ნინო სუჯაშვილი

### ბიჭები

1998 და უმცროსები: სანდრო სვანიძე, ლექსო სვანიძე, ნიკა ნიკოლაიშვილი

1996-97: რატი ძიძიგური, ნიკა ანსიანი, გიორგი დათაშვილი

1994-95: სანდრო დავლიანიძე, შოთა მეფარიძე, მიხეილ ხმიადაშვილი

1992-93: დათო ხუციშვილი, ბიძინა ამაშუკელი, გიორგი გეგეშიძე

# სალომემ ნასტია სტატისტად აქცია

**სალომე** დევიძემ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩრდილოეთ კაროლინური როლის თიხნარზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე 50-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ეტაპზე მეორე თამაშიც მოიგო და ძირითად ბადეში გააღწია.

დევიძემ 18 წლისა და რეიტინგის 760-ე საფეხურზე მყოფ უკრაინელ ანასტასია ხარჩენკოს მისხალი შანსიც არ დაუტოვა, კინკილა გეიმიც კი არ დაანება და 6:0 6:0 აჯობა.

ძირითად ბადეში სალომე პირველ შეხვედრას 22 წლის ამერიკელ ნეა უბეროისთან ჩაატარებს, ვისაც WTA-ს კლასიფიკაციაში 34-ე პოზიცია უკავია.

ძირითად ბადეში მე-6 ნომრადაა განთესილი ანა ტატიშვილი, ვისი პირველი მეტოქეც კვალიფიკაციიდან წამოსული 16 წლის ვენესუელელი გაბრიელა პასია, ვისაც ანამ ამას წინათ, ფლორიდაში გამართულ ტურნირზე აჯობა.

კიდევ ერთმა ქართველმა, კერძოდ კი სოფო ქვაცაბაიამ უკვე დაასრულა თამაში. სოფო ესპანეთში, ბადალონას თიხნარზე მიმდინარე 10-ათასიან შეჯიბრში მონაწილეობდა და პირველივე წრეში 6:2 5:7 3:6 დამარცხდა მე-8 ნომრად განთესილ ბრაზილიელ ფერნანდა ერმენეჟილდოსთან.

# დღეს ენინი წასვლას იტყვის?

**საჩოგბურთო** სამყაროში დღეს შეიძლება გვარიანი ბომბი გასკდეს — ბელგიური მედიის ცნობით, ჟუსტინ ენინი ჩოგბურთიდან წასვლის შესახებ განცხადების გაკეთებას გეგმავს.

ეს მართლაც დიდი მოულოდნელობაა, რადგანაც ენინი უდავოდ კარიერის პიკზე იმყოფება. ბელგიელი ჩოგბურთიდან წასვლას აპირებს შარშანდელი ფანტასტკიური სეზონიდან ხუთი თვის თავზე, მაშინ, როცა ერთი წლის წინ ორი სლემტურნირი მოიგო („როლან გაროსი" და აშშ-ს ღია პირველობა) და ქალი მეჩოგნისთვის სარეკორდო საპრიზო, 5 მილიონი გამოიმუშავა.

მართალია, ენინი წლეულს მძიმედ გამოიყურება და ჩვეულ დონეზე ვერ ჩოგნაობს, მაგრამ ვერც იმას იტყვის ვინმე, რომ მას საერთოდ არაფერი გამოსდის. ასეთი ჩავარდნები ნებისმიერ, თუნდაც დიად მეჩოგნეებსაც ჰქონიათ და აქვთ (თუნდაც როჯერ ფედერერის წლევანდელი გამოსვლა ავიღოთ), მაგრამ ამის გამო ყველაფრის მიტოვება ჯერ არავის აზრადაც არ მოსვლია. ხოლო იმასაც თუ გავითვალსიწინებთ, რომ წინა წლებთან შედარებით ჟუსტინს არც ტრავმები აწუხებს, მაშინ მისი ეს გადაწყვეტილება სრულიად გაუგებარი ხდება.



ჯერჯერობით უცნობია, როდის გეგმავს ენინი კორტის საბოლოოდ მიტოვებას — ახლავე, თუ მხოლოდ სეზონის ბოლოს. ალბათ, სავარაუდოდ მაინც წლის მიწურულს, რადგანაც ჟუსტინის საყვარელ ტურნირ „როლან გაროსის" დაწყებამდე კვირაზე ოდნავ მეტი დარჩა და მას, როგორც ბოლო სამი წლის ჩემპიონს, მაინც უნდა სურდეს ტიტულის დაცვა. თანაც წლეულს ოლიმპიადაც იმართება...

**ბახა ლომაშვილი**

# ერთი კვირა შეცდომების გამოსასწორებლად

**კაცები**

მასტერსი. ჰამბურგი. გერმანია

თიხნარი. საპრიზო 2 270 000 ევრო

**მეორე წრე**

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — იარკო ნიემინენი (ფინეთი) 6:1 6:3; **რობინ სოდერლინგი** (შვედეთი) — ჟო-ვილფრედ ცონგა (14, საფრანგეთი) 6:2 7:5; **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი) — მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) 6:2 6:0; **დავიდ ფერერი** (5, ესპანეთი) — ივო მინარი (ჩეხეთი) 6:3 6:3; **ნიკოლაი დავიდენკო** (4, რუსეთი) — ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) 6:4 6:1; **ნიკოლას კიფერი** (გერმანია) — სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) 7:5 7:5; **ხუან მონაკო** (12, არგენტინა) — სიმონე ბოლელი (იტალია) 6:2 6:1; **ანდრეა სეპი** (იტალია) — რიშარ გასკე (8, საფრანგეთი) 6:3 6:2; **იანკო ტიპსარევიჩი** (სერბეთი) — ჯეიმს ბლეიკი (7, აშშ) 4:6 6:3 6:3; **ალბერტ მონტანესი** (ესპანეთი) — ხოსე აკასუსო (არგენტინა) 7:6 6:3; **ივო კარლოვიჩი** (ხორვატია) — ტომი რობრედო (13, ესპანეთი) 3:6 6:2 7:6; **მარატ საფინი** (რუსეთი) — ტომაშ ბერდიხი (11, ჩეხეთი) 7:5 6:4

**ქალები**

რომი. იტალია. თიხნარი

საპრიზო 1 340 000 დოლარი

**მეორე წრე**

**აგნეშკა რადვანსკა** (12, პოლონეთი) — რობერტა ვინჩი (იტალია) 3:6 6:2 6:2; **სარა ერანი** (იტალია) — აგნეს სჟავაი (11, უნგრეთი) 6:0 6:3; **სერენა უილიამსი** (5, აშშ) — ალიონა ბონდარენკო (უკრაინა) 6:2 6:0; **ვინუს უილიამსი** (7, აშშ) — სამანტა სტოსური (ავსტრალია) 6:4 6:1; **ვერა ზვონარიოვა** (10, რუსეთი) — ივეტა ბენეშოვა (ჩეხეთი) 7:5 4:6 7:5; **ცვეტანა პირონკოვა** (ბულგარეთი) — ანა ივანოვიჩი (1, სერბეთი) 6:4 5:7 6:2; **კაროლინ ვოზნიაკი** (დანია) — ეკატერინა მაკაროვა (რუსეთი) 6:3 6:4; **ვიქტორია აზარენკა** (ბელარუსი) — მონიკა ნიკულესკუ (რუმინეთი) 6:3 6:2; **მარიონ ბარტოლი** (საფრანგეთი) — ვირჟინი რაზანო (საფრანგეთი) 6:4 7:5

ჟუსტინ ენინის ჩოგბურთიდან სავარაუდო წასვლის ფონზე ყველა სხვა ინფორმაცია თავის მნიშვნელობას კარგავს, მაგრამ ჰამბურგის მასტერსსა და რომის ქალთა ძალიან წარმომადგენლობით ტურნირებზე დატრიალებულ ამბებს მაინც უნდა გადავალოთ თვალი.

იტალიის დედაქალაქში გვარიანი სენსაცია მოხდა — ენინის უარის შემდეგ ტურნირის პირველ ნომრად ქცეულმა ანა ივანოვიჩმა პირველივე შევხედრაში წააგო. იტალიელ მაყურებელს სერბი ლამაზმანის მომდევნო დღეებში ცქერის სიამოვნება ცვეტანა პირონკოვამ მოაკლო, რომელმაც მეტოქეს სამსეტიან ომში გამოუყვანა წირვა. მაგრამ უფრო სწორი იქნება იმის თქმა, რომ ანამ თავისით წააგო. 59 უნებლიე შეცდომის დაშვების შემდეგ ივანოვიჩს წარმატებაზე ფიქრიც არ შეეძლო. ისე, სერბი „როლან გაროსს" არცთუ სახარბიელო ფორმაში ხვდება. არადა, პარიზულ სლემტურნირს დიდი იმედებით ელოდა.

უნდა გამოიყოს შავდა უილიამსების ძალიან შთამბეჭდავი სტარტიც, რომლებმაც ქვა ქვაზე არ დატოვეს თავიანთი პირველი რომაული მეტოქეებისგან. ვინუსმა წლეულს თავის პირველ ტურნირზე მოთამაშე სამანტა სტოსური მილეწა, სერენამ კი ალიონა ბონდარენკოს მხოლოდ ორი გეიმი უწყალობა.

წარმატებით დაიწყო ჰამბურგული ტიტულის დაცვა როჯერ ფედერერმა. აქაური მასტერსი ერთადერთია სათიხნარო ტურნირებს შორის, რომელზეც შვეიცარიელს თამაში გამოსდის ხოლმე და ეტყობა, ეს არც წლეულს შეიცვლება. ფედერერმა იარკო ნიემინენს გადაურბინა, რისთვისაც საათზე ოდნავ მეტი დასჭირდა.

სამაგიეროდ, ამ ჩრდილოგერმანული პორტიდან გრუნტის ერთ-ერთი აღიარებული სპეციალისტი ტომი რობრედო დაიფრინეს. ეს ესპანელი კარიერის ყველაზე კოშმარულ სეზონს ატარებს და წლეულს მის წაგებებს უკვე მივეჩვიეთ კიდეც. თუმც მისი ივო კარლოვიჩისგან წაქცევა მაინც გვარიანი მოულოდნელობა გახლდათ. აყლაყუდა ხორვატი არას დაგიდევდათ, ნელ საფარზე რომ უწევდა თამაში. თავისი უძლიერესი მოწოდებებით რობრედოს სისხლი გაუშრო და გადამწყვეტი სეტის ტაიბრეიკზე მაინც გატეხა ესპანელი.

წააგო ერთი კვირის წინ რომაულ მასტერსზე თავგამოჩენილმა სტანისლას ვავრინკამაც. იტალიაში ალპელმა ფინალს უწია და იქ ტოლ-სწორად ეომა ნოვაკ ჯოკოვიჩს, ახლა კი მასპინძელი ნიკლას კიფერისგან მიიბეგვა.

სიტყვა სტაბილურობის მნიშვნელობა ნაკლებად ესმის რიშარ გასკეს, რომელიც ხანდახან იმდენად უხეიროდ ირჯება, რომ გაგიკვირდებათ, როგორ ახერხებს ტოპათეულში ყოფნას. გუშინაც ასეთი შემთხვევა იყო, როცა გასკე ანდრეა სეპიმ უადვილესად მიჩოგნა. რიშარს წაგების სიმწარის მარტოდ გადატანა არ მოუწევს, რადგანაც საუკეთესო მეგობარი ჟოვილფრედ ცონგა რობინ სოდერლინგმა მალევე მიაყოლა უკან. ასე რომ, ახალგაზრდა ფრანგებს შეუძლიათ, ერთად იფიქრონ შეცდომების გამოსწორებაზე.

**ბახა ლომაშვილი**

საქართველოს ქალ მორაგბეთა ნაკრებმა პირველ ტურნირში მიიღო მონაწილეობა. ბოსნიაში ჩატარებულ ევროპული სერიის ეტაპზე, რომელიც იმავდროულად მსოფლიოს თასის საკვალიფიკაციო ეტაპსაც წარმოადგენდა, ჩვენმა „ბზიკებმა“ შვიდი მატჩიდან ორი მოიგეს და მეათე ადგილზე გავიდნენ. ქართველ კაც მორაგბეთა შედეგების შემყურე, ქალთა შვიდეულის მეათე ადგილი არცთუ დამაკმაყოფილებელ შედეგად მოგეჩვენებათ, მაგრამ რეალობის გათვალისწინებით — აქამდე აზერბაიჯანის ნაკრების გარდა არავისთან არანაირ ტურნირზე რომ არ უთამაშიათ — ცუდი შედეგი არ არის. ბოსნიურ ტურნირზე ჩვენი ნარკების 11 ლელოდან 9 ანა პოლოსიანმა გაიტანა და „კრაზანების“ თბილისში დაბრუნების მერე ინტერვიუ სწორედ მას ვთხოვეთ. თანაც, ანა ამავდროულად, საქართველოს ქალ ფეხბურთელთა ნაკრების წევრი. ამიტომაც ინტერვიუ რაგბულ-საფეხბურთო გამოგვივიდა...



# ფეხბურთი და ლელოები

— მძლეოსნობით დავიწყე, სპრინტერი ვიყავი და საკმაოდ ნორმალური შედეგები მქონდა. მაგრამ ფეხბურთი ყოველთვის მიზიდავდა და ოთხი წლის წინ თამაშიც დავიწყე. თავდამსხმელი ვარ, თუმცა ზოგჯერ მარჯვენა ნახევარმცველადაც მათამაშებენ.

— რაგბიში როგორ მოხვდი?

— მარი ეთიმოვამ მირჩია. მძლეოსანი იყო და მერე რაგბის გუნდს ავარჯიშებდა. მძლეოსნობიდან ვიცნობ. ზურა დუგლაძე გამაცნო, ნაკრების მწვრთნელი, მან კი რაგბის თამაში მირჩია. იმ დროს წესებიც კი არ ვიცოდი, მაგრამ დავინტერესდი. ასპინძაში გავიარეთ შეკრება და პირველად იქ ვივარჯიშე. ძალიან მომეწონა და იმის მერე ვთამაშობ.

—ფეხბურთს და რაგბის ერთმანეთს იოლად უთავსებ?

— ძირითადად ფეხბურთის გუნდში ვვარჯიშობ, მაგრამ შეთავსების პრობლემა არ მაქვს.

— სანამ ბოსნიაში ჩატარებულ სარაგბო ტურნირზე გადავალთ, შენს ფეხბურთელობაზე უფრო დაწვრილებით მოყევი...

— საქართველოს ჩემპიონატში სამწუხაროდ, მხოლოდ ოთხი გუნდია: თბილისის, აჭარის, დასავლეთის და აღმოსავლეთის. წელს ჩემპიონატი მესამედ ჩატარდება. შარშან თბილისელთა კაპიტანი ვიყავი და ჩემპიონებიც გავხდით. შარშანწინ კი ბათუმში ვთამაშობდი და ფინალში წავაგეთ.

— იმ ფინალში გოლი გულნარა გაბელიამ გაგიტანათ, რომელიც ახლა „ტრაბზონსფორის“ ლიდერია...

— გულნარა ძალიან ნიჭიერი სპორტსმენი და კარგი ადმიანია. მიხარია, თურქეთში მისი წარმატებების ამბებს რომ ვიგებ. „ტრაბზონის“ მეკარე ქრისტინე შალობაც ჩვენი მეგობარია.

— რაგბიზე და ბოსნიურ ტურნირზე გადავიდეთ. ჩვენი ნაკრების თამაშებს როგორ შეაფასებ?

— პირველი თამაში ავსტრიასთან გვქონდა. იქამდე ასეთი მატჩების გამოცდილება არ გაგვაჩნდა და ვნერვიულობდით. 10:34 წავაგეთ, ჩვენგან კი ორივე ლელო მე გავიტანე, მაგრამ გარდასახვები არ გამომივიდა.

მერე ისრაელს შევხვდით და 7:42 წავაგეთ. ნაკლებად ვნერვიულობდით, მაგრამ ისრაელის ნაკრები ავსტრიაზე ძლიერია. იმ თამაშში ლელოც და გარდასახვაც ჩემი იყო.

მესამე მეტოქედ მასპინძელი ბოსნია გვყავდა და პირველი გამარჯვებაც მათთან მოვიპოვეთ. ორივე ლელო თავისი გარდასახვებით, ისევ მე გავიტანე. მატჩი 14:0 მოვიგეთ.

წაგებული თამაშებიდან ყველაზე მეტად ხორვატიასთან მარცხმა დაგვწყვიტა გული. ხორვატები საბოლოოდ, მესამე ადგილზე გავიდნენ, არადა, იმ თამაშის მოგება შეგვეძლო. პირველი ტაიმი 7:5 მოვუგეთ და აქაც შვიდივე ქულა ჩემი იყო. სამწუხაროდ, მეორე ტაიმში შანსები ველარ გამოვიყენეთ და 7:15 წავაგეთ.

ჯგუფში ბოლო თამაში კი მომავალ ჩემპიონ რუმინეთთან გვქონდა, ყველაზე ძლიერ გუნდთან და 0:50 დავმარცხდით. იმ მატჩში მწვრთნელმა დამასვენა, მხოლოდ ბოლო სამი წუთი მათამაშა — დარჩენილი შეხვედრებისთვის მინდა, დასვენებული იყოო.

ამის მერე სლოვენიას ძალიანი იოლად მოვუგეთ 31:0. სამი ლელო და სამი გარდასახვა მე გავიტანე, თითო ლელო — მარი ქველაძემ და მაკა ტყებუჩავამ.

ბოლო მატჩი სერბებთან დავთმეთ 0:20. ჩვენც ძალიან გადაღლილები ვიყავით და მეტოქეც მხოლოდ დამტვრევაზე ფიქრობდა.

— მთლიანობაში რამდენად კმაყოფილები ხართ?

— მწვრთნელი უკმაყოფილო არ დარჩა, ბოლოს და ბოლოს, ჩვენი ნაკრების პირველი ტურნირი იყო.

— შენს გარდა სხვა გოგონებიც რამდენიმე სახეობით არიან დაკავებული?

— ფეხბურთის გუნდში არა, აი, მორაგბეთა ნაკრებში მარი ქველაძე და თამუნა ჩხუბიანიშვილი მოკრივეები არიან, მაკა ტყებუჩავა კარატეზე დადიოდა, ნათია მესხი კი ყოფილი ფეხბურთელია.

— კიდევ ერთ სახეობაზე ხომ არ ფიქრობ?

— არა, ფეხბურთი და რაგბი სჯკმარისა.

**კოტე კეკელია**





# კავენდიშის სიტყვა

**რიგით** 91-ე „ჯიროს“ ქარავანმა კუნძულ სიცილიიდან მატერიკზე გადაინაცვლა და მეოთხე ეტაპზე მის წინაშე პირველი მთაც აღიმართა, მართალია, ზღვის დონიდან ოდენ 1340 მეტრი სიმაღლის მქონე, თანაც დისტანციის პირველ ნახევარში, მაგრამ მაინც მთა, რომელმაც პელოტონი გვარიანად დაქსაქსა.

მიუხედავან ამისა, ეტაპის გამარჯვებულის ვინაობა, მაინც ჯგუფური ფინიშისას გაირკვა და ამ ჯერზე ყველას, ამერიკული „ჰაი როადის“ ბრიტანელმა მრბოლმა მარკ კავენდიშმა აჯობა, რომელმაც შანსი არ დაუტოვა წინა ეტაპის გმირებს, სპრინტის აღიარებულ ოსტატებს დამიანო ბენატისა და ერიკ ცაბელს.

კავენდიში ახალგაზრდა და საკმაოდ ამბიციური მრბოლია. მან ჯერ კიდევ რბოლის დაწყებამდე განაცხადა, ჩემზე უკეთესი სპრინტერი წლევანდელ „ჯირო[illegible]

და მინიმუმ ერთ ეტაპს აუცილებლად მოვიგებო.

სიტყვის კაცი ყოფილა ეს ბრიტანელი და ვინ იცის, მან თავისი გეგმა გადაჭარბებითაც შეასრულოს. „ეს ყველაზე ლამაზი გამარჯვებაა ჩემს ცხოვრებაში. ვფიქრობ, სპრინტერთა იერარქიაში უძლიერესთა შორის ვიმყოფები. დღევანდელი შედეგი მთელი გუნდის თავდაუზოგავმა მუშაობამ მოიტანა. ბენატიმ თითქოს ყელსაყრელი მომენტი შეარჩია იერიშისთვის, მაგრამ მე მეყო ძალა, მას დავწეოდი და ფინიშზე მეჯობნა კიდეც“ — განაცხადა კავენდიშმა, ვინც ოდენ მესამე ბრიტანელი მრბოლია, „ჯირო დიტალიას“ ეტაპი რომ მოუგო — 1966 წელს იტალიაში ვიკ დენსონმა ივარგა, ხოლო 1987 წელს „ჯიროს“ ეტაპი რობერტ მილარმა მოიგო.



მარკ კავენდიში

### 91-ე ჯირო დიტალია. 10 მაისი — 1 ივნისი

### IV ეტაპი

**პიცო კალაბრო — კატანძარო. 183 კმ**

| | |
|---|---|
| 1. მარკ კავენდიში (ბრიტანეთი, „ჰაი როადი“) | 4 სთ 49 წთ 09 წმ |
| 2. რობერტ ფორსტერი (გერმანია, „გეროლშტაინერი“) | |
| 3. დანიელე ბენატი (იტალია, „ლიქუიგასი“) | |
| 4. ასან ბაზაევი (ყაზახეთი, „ასტანა“) | |
| 5. მირკო ლორენცეტო (იტალია, „ლამპრე) | ყველას იგივე დრო |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ფრანკო პელიცოტი (იტალია, „ლიქუიგასი“) | 16 სთ 41 წთ 26 წმ |
| 2. კრისტიან ვანდეველდე (აშშ, „სლიპსტრიმი“) | +1 წმ |
| 3. დანილო დი ლუკა (იტალია, LPR) | +7 |
| 4. მორის პოზონი (იტალია, „ჰაი როადი“) | [illegible] |
| 5. ვიჩენცო ნიბალი (იტალია, „ლიქუიგასი“) | +8 |



## პლეი ოფი ნახევარფინალი

### აღმოსავლეთი

**ფილადელფია 1:4 პიტსბურგი**

**1:2 0:0 0:2**

*სერია პიტსბურგს მიჰყავს 3:0*

0:1 უიტნი (6, უმრ. კროსბი, გონჩარი), 0:2 ჰოსა (11, კროსბი), 1:2 ამბერგერი (11, პრონსპალი, ბრიარი), 1:3 მელოუნი (5/0, სიკორა, მალკინი), 1:4 ჰოსა (60, ცარ. კარში, ჯილი)

## უეფას თასი 2007-2008. ფინალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# CITY OF VODKA



დენისოვის (№27) პირველი გოლი



სტივენ უიტაკერი და ალექსანდრ ანიუკოვი

**ზენიტი 2:0 რეინჯერსი**

1:0 დენისოვი (72), ზირიანოვი (90)

**ზენიტი:** მალაფეევი, ანიუკოვი, კრიჟანაცი, შიროკოვი, შირლი, ტიმოშჩუკი, ზირიანოვი, დენისოვი, ფაიზულინი (კიმი 90), არშავინი, ფატიმ თექე

მწვრთნელი: დიკ ადვოკაატი

**რეინჯერსი:** ალექსანდერი, ბროუდფუტი, ვეირი, კუელიარი, პაპაცი (ნოვო 77), ჰემდანი (მაკკალოხი 70), უიტეკერი (ბოიდი 86), ფერგიუსონი, თომსონი, დევისი, დარშევილი

მწვრთნელი: უოლტერ სმიტი

გაფრთხილება: მალაფეევი (90)

მსაჯი: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)

47 500 მაყურებელი

**ზღვა** არაყი დაილეოდა წუხელ სანკტ-პეტერბურგში. მიზეზი: „რეინჯერსის“ დაცვითმა ფეხბურთმა ვერ გაამართლა.

რუსული გუნდები შეეჩვივნენ უეფას თასს: 2005 წელს მოსკოვის ცსკა-მ მოიგო, ახლა „ზენიტმა“ დაისაკუთრა.

1972-ში „რეინჯერსმა“ თასების მფლობელთა თასის ფინალში მოსკოვის „დინამო“ დაამარცხა, 36 წლის შემდეგ კი რუსული ბარიერი მეორედ ველარ გადალახა.

გაზპრომის ფულმა გაჭრა — „ზენიტმა“ შარშან რუსეთის ჩემპიონობა იზეიმა და წლეულს პირველი ევროპული ჯილდოც მიამატა.

დიკ ადვოკაატი უეფას თასის მომგები მეექვსე ჰოლანდიელი მწვრთნელი გახდა ვილ კურვერის, კეს რივერსის, ლუის ვან გალის, ჰუბ სტევენსის და ბერტ ვან მარვაიკის შემდეგ.

აკი ამბობდა ვან გალი მატჩამდე, არ მომწონს, რასაც „რეინჯერსი“ თამაშობს და თასს ჩემი მეგობარი დიკ ადვოკაატი მოიგებსო.

უოლტერ სმიტმა მაინც ვერ გარისკა — ხუთი ნახევარმცველი და ერთი ფორვარდი დააყენა. დაცვითი ტაქტიკა ამჯობინა და ამიტომაც იყო, რომ კარში პირველად 54-ე წუთზე დარშევილმა დაარტყა.

აბა, ასეთ გუნდს სადამდე გაუმართლებდა? ფინალამდე რვა მატჩში ორი გოლი გაუშვეს და ამით ტრაბახობდნენ. მეოთხედფინალი და ნახევარფინალი ისე გაიარეს, „სპორტინგმა“ და „ფიორენტინამ“ გოლი ვერ გაუტანეს. იმას კი აღარ ამბობდნენ, რომ „ფიორენტინასთან“ ორ მატჩში თვითონაც ვერ შეაგდეს და გოლი დაავიწყდათ.

გუშინ 18 წუთში მიიღეს ორი და სანაქებო სტატისტიკალა შერჩათ ხელში. ბოლოს კი „შეყარა“ მოედანზე უოლტერ სმიტმა ნოვო, ბოიდი და მაკკალოხი, მაგრამ გვიანი იყო.

„ზენიტმა“ „ლევერკუზენს“ და „ბაიერნს“ 9 გოლი გაუტანა და გუშინაც დაამტკიცა, რომ ეს საქმე ეხერხება.

მატჩის გმირი კი ანდრეი არშავინია — ორივე საგოლე კომბინაციაში გაურია ფეხი და ამიტომაც დაასახელეს ფინალის საუკეთესო მოთამაშედ.

**ვაჟა ხუციშვილი**



ზირიანოვმა მეოთხე წამატებულზე გაიტანა და სქოთთა კარის ბადეში ბურთიანად გაეხვა

### ინგლისი

ჩემპიონატი
პლეი ოფი. 1/2 ფინალი
საპასუხო მატჩი

**ჰალი 4:1 უოტფორდი (2:0)**

### ჩილე

აპერტურა
პლეი ოფი. 1/4 ფინალი
საპასუხო მატჩი

**უნივ. კათოლიკა 1:1 კოლო კოლო (1:3)**

### საბერძნეთი

სუპერლიგა
პლეი ოფი. VI ტური

**აეკ 1:1 პანათინაიკოსი**

**არისი 3:3 პანიონიოსი**

### გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩი

**კოტბუსი (მ) 1:0 ვერდერი (მ)**

### ხორვატია

თასის ფინალი
საპასუხო მატჩი

**ჰაიდუკი 0:0 დინამო (0:3)**

### იტალია

სერია B. გადადებული მატჩი

**ტრევიზო 2:1 გროსეტო**

### ისლანდია

I დივიზიონი. II ტური

**ვალიური 3:0 გრინდავიკი**


**სარბიელი**
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ყორყოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge